ფრანც
ბაღდასარიშვილი
ეროვნული

ფრანც კაფკა

გარდასახვა

* * *

1.

ერთ დილას, არეული სიზმრის შემდეგ გაღვიძებულმა გრეგორ ზამზამ აღმოაჩინა, რომ საზარელ მწერად გადაქცეულიყო. იწვა თავის საწოლში, ჯავშანივით მაგარ ზურგზე და თავის წამოწევისას ხედავდა ყავისფერ, თაღოვან, რკალებად დაქერცლილ მუცელს, რომლიდანაც საბანი იატაკისკენ მისრიალებდა. უამრავი, ტანის ზომასთან შედარებით უსაშველოდ წვრილი ფეხი უმწეოდ წრიალებდა მის თვალწინ.

„რა დამემართა?“- ფიქრობდა გრეგორი. ეს არ იყო სიზმარი. მის პატარა, მაგრამ ჩვეულებრივ, კარგად ნაცნობ ოთახში სიმშვიდე სუფევდა. მაგიდაზე მაუდის ქსოვილების ნიმუშები იყო გაშლილი (ზამზა კომოვოიაჟერი გახლდათ). მაგიდის ზემოთ ეკიდა სურათი, რომელიც ერთი ილუსტრირებული გაზეთიდან ამოეჭრა და მშვენიერ, მოოქროვილ ჩარჩოში ჩაესვა. სურათზე გამოსახული ქალბატონი, ბეწვის ქუდში და ბოაში გამოწყობილი, წელში გამართული იდგა და მაყურებელს აწვდიდა ბეწვის მძიმე ხელსათბობს, რომელსაც ქალის მტევანი თითქმის მთლიანად დაეფარა.

გრეგორმა ფანჯარას გახედა. ნისლიანი ამინდი იდგა. ფანჯრის რაფაზე წვიმის წვეთების კაკუნი მის მელანქოლიას უფრო ამძაფრებდა. „რა იქნება, ძილი შევიბრუნო და ეს სისულელეც გადავივიწყო,“- გაიფიქრა მან. მაგრამ ეს შეუძლებელი გახლდათ - ის მარჯვენა გვერდზე წოლას იყო ჩვეული, რის მიღწევაც მის მდგომარეობაში მყოფისთვის წარმოუდგენელი ჩანდა. რამდენჯერმე მთელი ძალით სცადა მარჯვნივ გადაბრუნება, მაგრამ ყოველ ჯერზე ისევ ზურგზე ეცემოდა. ბევრი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, თვალდახუჭულმა (ასე ფეხების წრიალის ყურება მაინც აღარ მოუწევდა) მარჯვენა მხარეს აქამდე უცნობი, ყრუ ტკივილი იგრძნო და საბოლოოდ დამორჩილდა ბედს.

„ღმერთო, რა მძიმე პროფესია მაქვს!“ - ფიქრობდა გრეგორი, „დღედაღამ მგზავრობაში ვარ. გზაში კი სანერვიულოც გაცილებით მეტია, ვიდრე სავაჭრო სახლში. გარდა ამისა, ეს იძულებითი ხეტიალიც ძალიან მომბეზრდა. მატარებლების განრიგები, ურეჟიმო კვება, მუდმივად ცვალებადი, არამყარი, ცივი ურთიერთობები. ეშმაკსაც წაუღია ეს ყველაფერი!“ მუცელზე მსუბუქი ქავილი იგრძნო. ზურგზე წამოიწია, ნელა მიცოცდა საწოლის ხარიხასთან (ისე, რომ თავის წამოწევა შეძლებოდა) და შენიშნა, რომ მუცელი პატარა, თეთრი წერტილებით ჰქონდა დაფარული. სცადა, ფეხით მოესინჯა ეს წერტილები, მაგრამ მათთან ოდნავი შეხებაც კი ცივ ჟრუანტელს ჰგვრიდა.

გრეგორი ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა. „ადრე ადგომა აშტერებს ადამიანს,“ - ფიქრობდა ის. „კარგი ძილი აუცილებელია. სხვა კომოვოიაჟერები ჰარამხანის ქალებივით ცხოვრობენ. მაგალითად, როცა დილით სასტუმროში ვბრუნდები შეკვეთების ჩამოსაწერად, ეს ვაჟბატონები ჯერ ისევ საუზმეს უსხედან. მე რომ ეს გავბედო, შეფი მაშინვე ადგილიდან დამიფრენს. ისე, ვინ იცის, იქნებ ეს უკეთესიც კი იყოს ჩემთვის. ჩემი მშობლების გამო რომ არ ვიკავებდე თავს, დიდი ხნის წამოსული ვიქნებოდი იქიდან. მივიდოდი და შეფს პირში მივახლიდი, რასაც ვფიქრობ მასზე. მოულოდნელობისგან ალბათ მაგიდიდან გადმოვარდებოდა! მაინც რა საოცარი თვისება აქვს - მაგიდაზე თუ არ შემოჯდა, ისე არ ესაუბრება თანამშრომლებს. მათ კი, ყველაფერთან ერთად, თავს ძალა უნდა დაატანონ მისი ნათქვამის გასაგებად. შეფს ყურსაც აკლია. იმედი ჯერ არ დამიკარგავს, როგორც კი ჩემი მშობლების ვალების გასასტუმრებლად ფულს შევაგროვებ, რაც, სავარაუდოდ, ხუთ-ექვს წელიწადში მოხდება, მაშინვე ასე მოვიქცევი. მანამდე კი უნდა ავდგე, ჩემი მატარებელი ხუთზე გადის.“

გრეგორმა სკივრზე მოტიკტიკე მაღვიძარას გახედა. „ღმერთო, დიდებულო!“ -გაიფიქრა მან. უკვე შვიდის ნახევარი იყო. უფრო სწორად, ისრები ნახევარს უკვე გასცდენოდნენ და ისე სწრაფად მიიწევდნენ წინ, რომ თხუთმეტიც მალე დააკლდებოდა. ნუთუ მაღვიძარამ არ დარეკა? არადა საწოლიდანაც კარგად ჩანდა, რომ ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე იყო მომართული. რა თქმა უნდა, დარეკავდა. მაგრამ მისი მოგრიალე ხმა როგორღა გამოეპარა? მართალია არათანაბრად, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც ღრმად ეძინა. ახლა რაღა უნდა ექნა? შემდეგი მატარებელი შვიდზე გადიოდა. მისთვის რომ მიესწრო, აჩქარება მოუწევდა, კოლექცია კი ჯერ შეფუთულიც არ ჰქონდა. თავსაც ვერ გრძნობდა მაინცდამაინც მხნედ. ამასთან, მატარებლისთვის რომ მიესწრო კიდეც, შეფის რისხვა მაინც არ ასცდებოდა. შიკრიკი (შეფის გამოწვრთნილი ეს უჟმური და უსახური არსება) ხომ ხუთსაათიან მატარებელზე ელოდა. ის უკვე აუცილებლად გადასცემდა შეფს გრეგორის დაგვიანების ამბავს. თავის

მოავადმყოფება ხომ არ სჯობდა? მაგრამ ეს ძალზე საეჭვო იყო და შეურაცხმყოფელი, რადგან გრეგორი ამ ხუთი წლის განმავლობაში არასდროს გამხდარა ავად. ცხადია, შეფი მაშინვე სადაზღვევო კომპანიის ექიმს მოიყვანდა, მის მშობლებს საყვედურებით აავსებდა ზარმაცი და უქნარა შვილის გამო და ყველა შენიშვნას ექიმის არგუმენტებით გააბათილებდა. ექიმისთვის კი არსებობდნენ მხოლოდ ჯანმრთელი ადამიანები, რომლებსაც მუშაობა ეზარებათ. ამ შემთხვევაში ეს იქნებ არც იყო სიმართლეს მოკლებული. გრეგორი ბევრი ძილის შემდეგ თავს მართლაც კარგად გრძნობდა და უფრო მეტიც - შიოდა კიდეც.

საწოლიდან ადგომა ჯერ მყარად არ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ შვიდს თხუთმეტი დააკლდა და იმ მხარეს, საითაც გრეგორს თავი ედო, ფრთხილი კაკუნიც გაისმა.

„გრეგორ!"- ეძახდა ვიღაც - „შვიდს თხუთმეტი აკლია, არ მიდიხარ?" გრეგორმა დედის ხმა იცნო. „რა კეთილი ხმაა!" - აღმოხდა უცებ, მაგრამ თავისი ხმის გაგონებაზე ელდა ეცა. ხმა ნამდვილად მისი იყო, მაგრამ სიღრმიდან ამომავალი უცნაური, მტკივნეული შიშინი ისე ფარავდა სიტყვების ბოლო ბგერებს, რომ შეუძლებელი იყო ნათქვამის გარჩევა. გრეგორს სურდა, დედისთვის სრულად გაეცა პასუხი და ყველაფერი აეხსნა, მაგრამ ამ მდგომარეობაში მყოფმა მხოლოდ ამის თქმაღა მოახერხა: „კი, კი, დედა, გმადლობ. აი, უკვე ვდგები". კარს მიღმა გრეგორის ხმის ცვლილება ეტყობა ვერ შენიშნეს, რადგან დედა, როგორც ჩანს, პასუხით კმაყოფილი, ფრატუნით მოშორდა კარს. ამ მოკლე საუბარმა ოჯახის სხვა წევრებიც დააინტერესა (მათდა გასაკვირად, გრეგორი ჯერ ისევ შინ იყო) და აი, მეორე კარზეც ფრთხილად, მაგრამ მუშტით, უკვე მამამ დააკაკუნა: „გრეგორ, გრეგორ, რა მოხდა?" და მოკლე პაუზის შემდეგ ისევ: „გრეგორ, გრეგორ!" ცოტა ხანში კი მესამე კარზე დის შეწუხებული ხმა გაისმა: „გრეგორ, ცუდად ხომ არ ხარ? რამე ხომ არ გჭირდება?" გრეგორმა ორივე მხარეს უპასუხა, უკვე მზად ვარო. ის ცდილობდა, სიტყვები სრულყოფილად, პაუზებით გამოეთქვა და ამით მათთვის საეჭვო ჟღერადობა მოეშორებინა. მამა მალევე გაბრუნდა სასაუზმოდ, და კი ჩურჩულს არ წყვეტდა: „გრეგორ, გაფიცებ, გამიღე". მაგრამ გრეგორი კარის გაღებას არ ფიქრობდა. ხშირი მგზავრობიდან გამოყოლილი ეს სიფრთხილე შინაც დასჩემდა - დაწოლის წინ ყველა კარს რაზავდა. აი, გამოადგა კიდეც ეს აჩემება.

ჯერ მშვიდად და თავის გემოზე უნდა ამდგარიყო, ჩაეცვა და ესაუზმა. მხოლოდ ამის შემდეგ მოიფიქრებდა ყველაფერს. საწოლში - ეს ცხადი იყო - რაიმეს გონივრულად გადაწყვეტას ვერ შეძლებდა. მას გაახსენდა, რომ ასეთი, საკარაუდოდ, არაკომფორტულად წოლისგან გამოწვეული, მსუბუქი ტკივილი ადრეც არაერთხელ ჰქონია, რაც ადგომისთანავე მხოლოდ წარმოსახვად რჩებოდა ხოლმე. ამიტომ ერთი სული ჰქონდა, ამდგარიყო და

დღევანდელი შეგრძნებებიც წარმოსახვისთვის მიებარებინა. შეცვლილი ხმის მიზეზი კი, მისი აზრით, ყველა კომოვოიაჟერისთვის კარგად ნაცნობი ავადმყოფობა - სურდო იყო და სხვა არაფერი. ამაში ეჭვი არ შეჰქონდა.

საბნის გადაგდება ადვილი აღმოჩნდა. ერთი ღრმად ჩასუნთქვა საკმარისი იყო და ამობერილი მუცლიდან საბანი თავისით ჩასრიალდა იატაკზე. მაგრამ სხვა მხრივ რთულად იყო საქმე, ძირითადად მისი განიერი ტანის გამო. ამასთანავე, საწოლიდან წამოსადგომად ხელები იყო საჭირო. მათ ნაცვლად კი გრეგორს ჰქონდა პაწაწინა ფეხები, რომლებიც შეუჩერებლივ მოძრაობდნენ სხვადასხვა მიმართულებით და რომელთა დამორჩილებაც ვერაფრით მოახერხა. საკმარისი იყო, ფეხის მოხრა დაეპირებინა, რომ ის მაშინვე იფშიკებოდა. რაიმე მოქმედების შესრულებას მოინდომებდა და სხვა ფეხებიც მაშინვე მტკივნეულ ფორიაქს იწყებდნენ, ნებაზე მიშვებულებივით.

„საწოლში უსაქმოდ არ უნდა გავჩერდე," - გაიფიქრა გრეგორმა.

თავიდან მან საწოლიდან სხეულის ქვედა ნაწილის წამოწევა გადაწყვიტა. ეს საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდა (ეს ნაწილი ჯერ არ დაენახა და, მაშასადამე, ხეირიანი წარმოდგენა არც ჰქონდა მასზე). საქმე ნელა მიიწევდა წინ. გამწარებულმა გრეგორმა, ბოლოს და ბოლოს, მთელი ძალა მოიკრიბა და ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე წინ წამოიწია, მაგრამ ორიენტაციადაკარგული საწოლის ბოლოს მიენარცხა და ისეთი გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო, რომ დარწმუნდა - სხეულის ქვედა ნაწილი ყველაზე მგრძნობიარე ჰქონდა.

ახლა გრეგორმა საწოლის კიდისკენ მიაბრუნა თავი და ზედა ნაწილის გადმოწევას შეეცადა. ეს არ იყო ძნელი და, მიუხედავად სიმძიმისა და სიგანისა, სხეული საბოლოოდ გვერდით გადაიხარა. ამგვარად, თავის აწევა კი მოახერხა, მაგრამ წინ გადმოწევა მაშინვე გადაიფიქრა - გადმოვარდნის საფრთხე დიდი იყო, ასეთ შემთხვევაში თავის დაშავებისგან სასწაული თუ გადაარჩენდა. ახლა კი გონის შენარჩუნება აუცილებელი იყო. ამიტომ საწოლში დარჩენა სჯობდა.

როცა დიდი გარჯის შედეგად ისევ მოთავსდა საწოლში და მისი ფეხებიც უფრო საზარლად აწრიალდნენ, გრეგორმა კი ვერაფრით მოახერხა ამ არეულობაში წესრიგის შეტანა, საბოლოოდ გადაწყვიტა: საწოლში ყოფნა არ შეეძლო. ახლა ყველაზე გონივრული იყო საწოლიდან თავის გათავისუფლება და ნებისმიერი მსხვერპლის ფასად უნდა მოეხერხებინა ეს. ამავდროულად, ცდილობდა, არ დავიწყებოდა, რომ ნაადრევ,

იმედგამაწბილებელ გადაწყვეტილებებს ისევ მშვიდი, გაწონასწორებული განსჯა სჯობდა. ამ ფიქრებში ფანჯარას მიაშტერდა, მაგრამ დილის სქელი ნისლის გამო, რომელსაც ფანჯრის მიღმა მდებარე ვიწრო ქუჩა მთლიანად დაებურა, ფანჯრიდანაც აღარაფერი ჩანდა იმედისმომცემი, თვითრწმენას რომ დაუბრუნებდა. „უკვე შვიდი საათია“, გაიფიქრა მან, როცა საათმა კიდევ ერთხელ ჩამოჰკრა. „უკვე შვიდი საათია. გარეთ კი როგორი ნისლი დგას“. დასუსტებული მშვიდად იწვა ერთხანს, თითქოს ამ აბსოლუტური სიჩუმისგან ელის ნამდვილი, თავისთავადი მდგომარეობის დაბრუნებასო.

მერე კი გაიფიქრა: „რვის თხუთმეტ წუთს რომ ჩამოჰკრავს, საბოლოოდ ამდგარი უნდა ვიყო. იქამდე ვინმე აუცილებლად მოვა ოფისიდან ჩემი ამბის გასაგებად, რადგან ოფისი რვამდე იღება“. მთელი სხეული როგორმე ერთიანად უნდა გადმოეგორებინა საწოლიდან. თან თავის მაღლა დაჭერა იყო აუცილებელი. სავარაუდოდ, ასე ნაკლებად დაუზიანდებოდა დავარდნისას. ზურგი, მგონი, საკმაოდ მყარი ჰქონდა, ამიტომ არ დაშავდებოდა ხალიჩაზე დაცემით. ყველაზე მეტად ახლა მაინც მოსალოდნელი ხმაური იყო საფიქრალი, რომელიც აუცილებლად მოჰყვებოდა მის იატაკზე დანარცხებას და რომელიც სამივე კარს მიღმა უთუოდ გამოიწვევდა შიშს ან განგაშს. ეს მეტად საფრთხილო საქმე იყო.

უკვე ნახევარი სხეულით საწოლზე გადმოკიდებული გრეგორი (ახლადმოფიქრებული ხერხი თამაშს უფრო ჰგავდა, ვიდრე დამქანცველ საქმიანობას, რადგან გრეგორისგან მხოლოდ მოკლე რხევებს მოითხოვდა) მიხვდა, რა ადვილი იქნებოდა ყველაფერი, დამხმარე რომ ჰყოლოდა. ორი ღონიერი ადამიანი, მაგალითად, მამა და მოსამსახურე, სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო ამ საქმისთვის. მათ მხოლოდ მკლავების ამოდება მოუწევდათ თაღოვანი ზურგის ქვეშ, ამგვარად გრეგორს საწოლიდან ამოიყვანდნენ, მძიმედ დაუშვებდნენ დაბლა და აცდიდნენ იატაკზე გადაგორებას. გრეგორის პატარა ფეხებსაც დანიშნულება მიეცემოდათ. მაგრამ ამაზე ფიქრი ახლა ზედმეტი იყო, რადგან კარები ჩარაზულიც რომ არ ჰქონოდა, საშველად მოხმობას მაინც ვერ შეძლებდა. ამ აზრმა (მიუხედავად ყველაფრისა) ღიმილი მოჰგვარა.

მოძრაობისას უკვე წონასწორობის შენარჩუნება უჭირდა. აჩქარების დრო იყო, რადგან საათი სადაცაა რვის თხუთმეტ წუთს ჩამოჰკრავდა. ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა.

„უთუოდ ოფისიდან იქნებიან“, - თქვა თავისთვის და გაშეშდა. პაწაწინა ფეხები კი უფრო სწრაფად ამოძრავდნენ. ერთხანს ყველაფერი მიყუჩდა. „რა იქნება არ გაუღონ,“ - გაუელვა სულელურმა, იმედის მომგვრელმა აზრმა. მაგრამ ამ დროს, როგორც ყოველთვის,

მოსამსახურის მძიმე ნაბიჯის ხმა გაისმა და კარიც გააღეს. კარიდან მისალმების ხმა გაიგო თუ არა, გრეგორი მაშინვე მიხვდა სტუმრის ვინაობას - ეს გახლდათ თავად მმართველი. რატომ მოუწია მუშაობა მაინცდამაინც ისეთ ფირმაში, სადაც ოდნავი დაგვიანებაც კი ამხელა ეჭვებს ბადებდა. ნუთუ უკლებლივ ყველა თანამშრომელი ნაძირალა უნდა იყოს, ხომ შეიძლება მოიპოვებოდეს მათში ერთგული, სანდო ადამიანი, რომელმაც, ვთქვათ, დილის რამდენიმე საათი სამსახურს არ დაუთმო, ახლა კი სინდისის ქენჯნისგან შეშლილს, საწოლიდან ადგომის ძალა აღარ შესწევს? ნუთუ შეგირდის გამოგზავნა არ იქნებოდა საკმარისი ჩემს მოსაკითხად (თუ საერთოდ აუცილებელი იყო მოკითხვა), ნუთუ მაინცდამაინც თავად მმართველი უნდა მობრძანებულიყო, რათა მთელი ოჯახისთვის ეჩვენებინა, რომ ამ საეჭვო საქმეს მხოლოდ მისი ჭკუა მოჰფენდა ნათელს? და გრეგორი, უფრო მეტად ამ ამბით შეძრული, ვიდრე გონების კარნახით, ლოგინიდან მთელი ძალით წამოვარდა. დანარცხების ხმა მართლაც ძლიერი, თუმცა წამიერი იყო. ხალიჩამ ის ოდნავ შეამსუბუქა. ზურგიც უფრო ელასტიკური აღმოჩნდა, ვიდრე გრეგორს წარმოედგინა, რის შედეგადაც დავარდნამ მხოლოდ ყრუ, მოკლე ხმაური გამოიწვია. ერთი ეგაა, თავი კარგად ვერ შეიმაგრა და იატაკს დასცხო. ახლა კი ტკივილისგან გამწარებული თავს ხალიჩაზე ახახუნებდა.

„შიგნით რაღაც დავარდა," - გაისმა მმართველის ხმა მარცხენა ოთახიდან. გრეგორი ცდილობდა, მმართველი წარმოედგინა იმ მდგომარეობაში, როგორშიც თვითონ აღმოჩნდა. ამის წარმოდგენა არ იყო ძნელი. სწორედ ამ დროს, თითქოს ამ აზრის პასუხად, გვერდით ოთახიდან მმართველის ლაქის ფეხსაცმლის კაკუნი გაისმა. „გრეგორ, მმართველია მოსული," - მოისმოდა მარჯვენა ოთახიდან დის ჩურჩული. „ვიცი",- ჩაილაპარაკა გრეგორმა, მაგრამ დისთვის ხმის მიწვდენა ვერ შეძლო.

„გრეგორ", - ახლა მამის ხმა მოისმა მარცხენა ოთახიდან - „მმართველია მოსული. აინტერესებს, რატომ არ გაჰყევი ადრიან მატარებელს, ჩვენ კი არ ვიცით, რა ვუპასუხოთ. ამასთანავე, მას პირადად შენთან სურს საუბარი. ამიტომ გთხოვ, გააღე კარი. მოწყალე ბატონი გვაპატიებს უწესრიგობას ოთახში". „დილა მშვიდობისა, ბატონო ზამზა," - მეგობრულად ჩაერია საუბარში მმართველი. „ის ნამდვილად ავადაა," - ამბობდა დედა - „დამიჯერეთ, ბატონო მმართველო, სხვა შემთხვევაში არაფრით დააგვიანებდა მატარებელზე. მას ხომ მხოლოდ სამსახური უტრიალებს თავში. ხანდახან კიდეც ვბრაზობ, რომ სხვაგან არსად დადის. აი, ბოლოს რვა დღით იყო ქალაქში, მაგრამ ერთხელაც არსად გასულა შინიდან. ზის თავისთვის და ან გაზეთს კითხულობს, ან მატარებლის განრიგის შესწავლას ცდილობს. ერთადერთი, რითაც ხანდახან თავს იქცევს - თლა და ხერხვაა. გაგიკვირდებათ, ისეთი ლამაზი ჩარჩო გამოთალა ორ-სამ დღეში. ოთახში კიდია. აი, ნახავთ, როცა გააღებს.

ძალიან ლამაზია. უნდა გითხრათ, რომ ძალიან გამაბედნიერეთ თქვენი მობრძანებით. ჩვენ ვერაფრით შევძლებდით გრეგორი კარის გაღებაზე დაგვეყოლიებინა. ის ისეთი ჯიუტია. და მგონი ნამდვილად ავადაა, მიუხედავად იმისა, რომ დილით უარობდა". „ახლავე გამოვალ,"- თქვა გრეგორმა ხმადაბლა და გაწონასწორებულად. ცდილობდა, მათი საუბრიდან არაფერი გამოჰპარვოდა.

„სხვაგვარად წარმოუდგენელია, ძვირფასო ქალბატონო," -ამბობდა მმართველი -

„იმედია, სერიოზული არაფერი სჭირს. თუმცაღა, მეორე მხრივ, ისიც უნდა იქვას, რომ ჩვენ - ბიზნესმენები, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მსუბუქ ავადობებს არად ვაგდებთ, როცა საქმეს ასე სჭირდება". „ბოლოს და ბოლოს, შეუძლია ბატონ მმართველს შემოსვლა?" - მოთმინება დაკარგა მამამ და კარზე დააკაკუნა. „არა," - უპასუხა გრეგორმა. მარცხენა ოთახში შემზარავი სიჩუმე ჩამოწვა. მარჯვნიდან დამ ატეხა სლუკუნი.

რატომ ისიც სხვებს არ უერთდებოდა? როგორც ჩანს, ახლახან ადგა და ჯერ ჩაცმულიც არ იყო. ან რატომ ტიროდა? იმიტომ, რომ გრეგორი არ ადგა და დირექტორს კარი არ გაუღო? იმიტომ, რომ გრეგორი ახლა თანამდებობას დაკარგავდა და შეფი ისევ დაიწყებდა მშობლებზე ზეწოლას? გრეგორს ამაზე წუხილი ნაადრევი ეჩვენა. მართალია ახლა ხალიჩაზე იწვა, მაგრამ ჯერ ხომ ისევ აქ იყო და არც ფიქრობდა ოჯახის მიტოვებას. ნეტა ვინმეს სცოდნოდა მისი ახლანდელი მდგომარეობა, ხომ აღარ მოსთხოვდნენ მმართველის ოთახში შეშვებას. კი, არ გამოუვიდა თავაზიანად, მაგრამ მოგვიანებით უთუოდ აუხსნიდა ყველაფერს. ასე რომ, ამის გამო გაგდებას ნამდვილად ვერავინ დაუპირებდა. საერთოდაც, ამ გადაბირებისა და სლუკუნის ნაცვლად, ჯობდა, მისთვის თავი დაენებებინათ. მაგრამ ეს გაურკვევლობა სხვა გზას არ უტოვებდათ - მათაც ვერ გაამტყუნებდი.

„ბატონო ზამზა!"- უკვე ხმას აუმაღლა დირექტორმა - „რა ხდება? შეკეტილხართ ოთახში, კის და არას მეტს არაფერს ამბობთ, მშობლებს უმიზეზოდ ანერვიულებთ და, ამასთანავე, უარს ამბობთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე. გამოხატვის ასეთი ფორმები, სხვათა შორის, გაუგონარია! თქვენი შეფისა და თქვენი მშობლების სახელით, მე დაუყოვნებლივ მოვითხოვ ახსნა-განმარტებას. გაოცებული, განცვიფრებული ვარ! აქამდე გონიერ, მშვიდ ადამიანად გიცნობდით, თქვენ კი ყოვლად წარმოუდგენელ თვისებებს ავლენთ. შეფმა დღეს დილით გაკვრით ახსენა თქვენი გაცდენის სავარაუდო მიზეზი - ინკასო, რომელიც თქვენთვის მოუნდვია. მე კი ლამის თავი დავდე იმაზე, რომ მისი ვარაუდი სიმართლეს არ შეეფერებოდა. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, თქვენი უსაზღვრო სიჯიუტის

შემხედვარეს, თქვენი დაცვის სურვილიც კი აღარ მაქვს. თქვენი ავტორიტეტი შერყეულია. მინდოდა ეს პირადად მეთქვა თქვენთვის, მაგრამ რადგანაც დროს ტყუილად მაკარგვინებთ, მიზეზს ვეღარ ვხედავ, თქვენს მშობლებს დავუმალო ამის შესახებ... მოკლედ, თქვენი მიღწევები ბოლო დროს მეტად არადამაკმაყოფილებელია. მესმის, რომ წელიწადის ეს დრო მაინცდამაინც ნაყოფიერი არაა ბიზნესსაქმეების მოსაგვარებლად - ეს უნდა ითქვას. მაგრამ ბიზნესისთვის სრულიად უნაყოფო სეზონი - ესეც უნდა აღინიშნოს - არ არსებობს. და არც შეიძლება არსებობდეს". „კი მაგრამ, ბატონო მმართველო," - დაიყვირა აღშფოთებულმა გრეგორმა, რომელსაც სხვა აღარაფერი ახსოვდა - „ახლავე, ამ წუთში გავიღებთ. მხოლოდ მსუბუქმა თავბრუსხვევამ და შეუძლოდ ყოფნამ შემიშალა ხელი ამაში. ახლაც საწოლში ვწევარ, მაგრამ უკვე კარგად ვარ. აი, ვდგები კიდეც. ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით მოითმინეთ! მგონი არც ისე კარგად ვარ, როგორც მეგონა. მაგრამ უკეთ კი ნამდვილად ვგრძნობ თავს. როგორ უცებ იცის ავადმყოფობამ თავს დატყდომა! ჯერ კიდევ გუშინ შესანიშნავად ვიყავი, ჩემი მშობლებიც დამემოწმებიან. უფრო სწორად, რაღაცას გუშინვე მიგრძნობდა გული. მგონი მეტყობოდა კიდეც. რატომ მაშინვე არ გავაგებინე ოფისში! მაგრამ ადამიანს ხომ სულ ჰგონია, ავადმყოფობას შინ დარჩენის გარეშეც კარგად გადავიტანო. ბატონო მმართველო! შეინყალეთ ჩემი მშობლები. თქვენი ჩემდამი საყვედურები უსაბაბოა. ეს ყველაფერი ჩემთვის უცნობი იყო. ეტყობა ჩემი ბოლო შეკვეთები არ გინახავთ. სხვათა შორის, რვასაათიანი მატარებლით ვაპირებ გამგზავრებას, რამდენიმე საათი საწოლში ყოფნამ გამომაკეთა. ოღონდ თქვენ ნუ შეყოვნდებით. მალე თავად მოვალ ოფისში. გაიღეთ მოწყალება, მოახსენეთ ამის შესახებ შეფს და გამიწიეთ მასთან რეკომენდაცია!"

ამასობაში, სანამ დაუფიქრებლად აყრიდა სიტყვებს, გრეგორი ნელ-ნელა მიუახლოვდა სკივრს, დაეყრდნო და შეეცადა, გასწორებულიყო. მართლა სურდა კარის გაღება, გასვლა და მმართველთან გასაუბრება. საინტერესოა, რას იტყოდნენ მისი მომლოდინე დანარჩენები, როცა ასეთ მდგომარეობაში დაინახავდნენ. იქნებ შეშინებოდათ კიდეც. ეს გრეგორს პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებდა და, მაშასადამე, შეეძლო, მშვიდად ყოფილიყო. ხოლო თუ ყველაფერს ჩვეულებრივ მიიღებდნენ, ესე იგი სანერვიულოც არაფერი ჰქონდა და, აჩქარების შემთხვევაში, იქნებ რვა საათამდე მოესწრო და სადგურზეც მისულიყო. პრიალა სკივრზე თავიდან რამდენჯერმე დაცურდა, მაგრამ ბოლოს მთელი ძალა მოიკრიბა და გამართვა მოახერხა. სხეულის ქვედა ნაწილში გაუსაძლის ტკივილს ყურადღებას აღარ აქცევდა. იქვე მდგარი სკამის საზურგეს გადაემხო და პატარა ფეხებით მის კიდეებს ჩაებღაუჭა. ასე სხეული დაიმორჩილა და მმართველის ხმის მოლოდინში გაიტრუნა. „ერთი სიტყვის მეტი თქვენც ვერაფერი გაიგეთ?" - ჰკითხა მმართველმა მშობლებს - „მგონი ჩვენი გასულელება

სურს“. „ღმერთმანი, მძიმედ ავადაა, ჩვენ კი უარესად ვტანჯავთ. გრეტა, გრეტა!“- ყვიროდა უკვე ატირებული დედა. „რა იყო, დედა!“ - გამოეპასუხა თავის ოთახიდან და (მათ გრეგორის ოთახი ჰყოფდათ). „ახლავე გაიქეცი ექიმის მოსაყვანად! გრეგორი ცუდადაა. ექიმი გვჭირდება!“ „გესმოდათ მისი ლაპარაკი? ეს ცხოველის ხმას უფრო ჰგავდა,“ - ამბობდა მმართველი დედის ყვირილთან შედარებით ხმადაბლა. „ანა! ანა!“ - წინა ოთახიდან სამზარეულოს მიმართულებით აყვირდა მამა (თან ტაში შემოჰკრა), - „ახლავე ზეინკალი მოიყვანე!“ წინა ოთახში უკვე გოგოების კაბების შრიალი ისმოდა. ისინი მირბოდნენ. ან როგორ მოასწრო დამ ასე სწრაფად ჩაცმა? აი, უკვე გასასვლელი კარიც გამოგლიჯეს. გაჯახუნების ხმა არ ყოფილა.

ეტყობა, ღია დატოვეს, როგორც იმ სახლებში ხდება ხოლმე, სადაც დიდი უბედურება ტრიალებს.

გრეგორი კი ამ დროის განმავლობაში დამშვიდდა. მისი სიტყვები არავის ესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ახლა იმაზე გასაგები ეჩვენებოდა, ვიდრე ოდესმე, რაც ალბათ ყურის შეჩვევის ბრალი თუ იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, უკვე ყველა მიხვდა, რომ გრეგორს რაღაც სჭირდა და დასახმარებლადაც ყველა მზად იყო. მტკიცე და სანდო განკარგულებები, რომლებიც ოჯახში გაიცა, გრეგორს სიამოვნებას ჰგვრიდა. ის თავს ისევ ადამიანთა სამყაროს ნაწილად გრძნობდა და ექიმისა და ზეინკლისგან (ისე, რომ ერთს მეორისგან არ აცალკევებდა) თანაბრად ელოდა რაღაც დიდ, მოულოდნელ სასწაულს. წინ გადამწყვეტი საუბარი ელოდა. მისი აზრი რომ გასაგები ყოფილიყო, გრეგორმა ჩახველება სცადა. ცდილობდა, რაც შეიძლება ღრმად ჩაეხველებინა, მაგრამ სავარაუდოდ აღარც ხველა ჰგავდა ადამიანურს. თუმცა გადაჭრითაც ვერ იტყოდა ამას. გვერდით ოთახში კი ამასობაში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მმართველი და მშობლები ან მაგიდას უსხდნენ და ჩურჩულებდნენ, ან კარზე იყვნენ მოყურადებული.

გრეგორმა სავარძელი კარისკენ მიაჩოჩა და იქამდე მიღწეული, ვერტიკალურად აეკრა კარს. წებოვანი ნივთიერება, რომლითაც ფეხისგულები ჰქონდა დაფარული, ამაში კარგად დაეხმარა. სული რომ მოეთქვა, ერთხანს ამ პოზაში გაშეშდა. შემდეგ კი პირით სცადა საკეტში გაჩრილი გასაღების გადატრიალება. მისდა სამწუხაროდ, აღმოაჩინა, რომ კბილები არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ყბები უჩანდა საკმაოდ მაგარი. მათი დახმარებით გასაღები მართლაც ამოძრავდა. პირიდან უცნაური ყავისფერი სითხე გადმოეღვარა, გასაღებს გადაევლო და იატაკზე ჩამოიწუწა. ეს უთუოდ ზიანის მომტანი იყო მისთვის, მაგრამ გრეგორი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ამასობაში მმართველის ხმა გაისმა:

„ვესმით?“ - ამბობდა ის, - „მგონი გასაღებს აგრიალებს“. ამ სიტყვებმა ნუგეში მოჰგვარა. კარგი იქნებოდა, დედ-მამასაც გაემხნევებინა, „მიდი, გრეგორ, მიდი!“ - შეეძახათ მისთვის, - „მიაწექი გასაღებს!“ წარმოიდგინა, როგორი აზარტით უმზერდნენ მის მცდელობას და მთელი ძალით, თავდავიწყებით ჩაავლო პირი გასაღებს. მასზე ჩაბღაუჭებული, ის ხან გასაღებთან ერთად ბრუნავდა, ხანაც მას მთელი სიმძიმით აწვებოდა დაბლა. როგორც იქნა, საკეტის გაღების მჭახე ხმაც გაისმა. გონს მოსულმა გრეგორმა ღრმად ამოისუნთქა.

„ესე იგი, ზეინკალი არ იყო საჭირო,“ - ჩაილაპარაკა მან და კარი რომ ბოლომდე გაეღო, სახელურს თავით ჩამოაწვა.

როგორც იქნა, კარი საკმაოდ ფართოდ გაიღო, თუმცა გარედან გრეგორი არ ჩანდა. ჯერ ცალი დარაბისთვის ფრთხილად უნდა შემოევლო, რომ ოთახის შესასვლელთან ზურგზე არ მოედინა ზღართანი. ამ რთული მოძრაობის შესრულებით იყო დაკავებული, როცა მოულოდნელად მმართველის ხმა მოესმა. „ოოო,“ - ამოიღრიალა მმართველმა ისე, თითქოს გრიგალი ამოვარდაო. ის ყველაზე ახლოს იდგა კართან და გრეგორმა დაინახა, როგორ აიფარა მან დაღებულ პირზე ხელი და როგორ მკვეთრად დაიხია უკან, თითქოს უხილავმა ძალამ გადაქაჩაო. დედაც აქვე იყო, გაჩეჩილი თმა კეფაზე აეკეცა. გულხელდაკრეფილმა ჯერ მამას გახედა, შემდეგ გრეგორისკენ გადადგა ორი ნაბიჯი, თავი მკერდზე ჩაკიდა და მის გარშემო გაშლილი კაბის კალთებში ერთბაშად ჩაიკეცა. მტრულად მომზირალმა მამამ ჯერ მუშტი შეკრა, თითქოს გრეგორს უკან, თავის ოთახში შეგდებას უპირებსო, მერე სასტუმრო ოთახში მიმოიხედა, ხელები თვალებზე აიფარა და გულამოსკვნით ატირდა.

გრეგორი სასტუმრო ოთახისკენ აღარ წასულა. განზე გადგა და კარის დარაბას ჩამოეყრდნო. ახლა სხვები მის ტანს და თავს ნაწილობრივღა ხედავდნენ. ამასობაში გარეთ საგრძნობლად ინათა და უკვე გარკვევით გამოჩნდა ქუჩის მეორე მხარეს აღმართული უზარმაზარი, რუხი შენობის ფასადი, მწყობრად ჩაწყობილი ფანჯრებით. ეს საავადმყოფო გახლდათ. ისევ წვიმდა. ახლა უკვე თვალშისაცემად მსხვილი წვეთები თითქოს სათითაოდ ცვიოდა მიწაზე. მაგიდა საუზმის ჭურჭლით გაეწყოთ. საუზმე მამისთვის დღის ყველაზე მნიშვნელოვანი ტრაპეზი გახლდათ - ამ დროს ის საათობით უჯდა სუფრას და გაუთავებლად კითხულობდა გაზეთებს. მოპირდაპირე კედელზე გრეგორის სამხედრო სამსახურში ლეიტენანტად ყოფნის დროინდელი ფოტო ეკიდა: დაშნაზე ხელჩამოდებული, უზრუნველად მომღიმარი გრეგორი თითქოს თავისი მდგომარეობისა და სამხედრო ფორმის ღირსებას უსვამდა ხაზს. წინა ოთახიდან კარგად ჩანდა შემოსასვლელი კარიც. ის გადიოდა ბაქანზე და გრძელდებოდა დაღმა დაშვებული კიბით.

„მაშ ასე," - თქვა გრეგორმა, რომელიც სხვებთან შედარებით სიმშვიდეს ინარჩუნებდა. – „ახლავე ჩავიცვამ, კოლექციას ჩავალაგებ და გზას გავუყვები. ხომ გამიშვებთ? მაშასადამე, ბატონო მმართველო, ურჩი სულაც არა ვარ და სიამოვნებითაც კი ვშრომობ. კი, ხშირი მოგზაურობა დამქანცველია, მაგრამ მაინც არ შემიძლია ამის გარეშე ცხოვრება. საით მიბრძანდებით? ოფისში? კი? ხომ სრულ სიმართლეს მოახსენებთ შეფს? ადამიანმა შეიძლება რაღაც მომენტში დაკარგოს შრომის უნარი, მაგრამ სწორედ ამ დროს უნდა გავიხსენოთ მისი წარსული წარმატებები და გვწამდეს, რომ სიძნელეების გადალახვის შემდეგ ის ისევ ყოჩაღად და მთელი არსებით გააგრძელებს შრომას. მე ხომ, მოგეხსენებათ, ძალიან დავალებული ვარ შეფისგან. ამასთანავე, მშობლებზე და დაზეც უნდა ვიზრუნო. მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, მაგრამ აუცილებლად გამოვძვრები აქედან. უბრალოდ, საქმეს ნუ გამირთულებთ. სამსახურში ჩემი მხარე დაიჭირეთ! ვიცი, მოგზაური ხალხი გულზე არავის ეხატება. ყველას ჰგონია, ბევრ ფულს ვშოულობთ და განცხრომით ვცხოვრობთ. მესმის, სხვანაირად ვერც იფიქრებენ. მაგრამ თქვენ ხომ სხვებზე უკეთ ერკვევით ვითარებაში. ჩვენში დარჩეს და, შეფზე უკეთაც, რომელიც, თანამდებობიდან გამომდინარე, ადვილად შეიძლება შეცდეს ხელქვეითის შეფასებისას. თქვენ ხომ კარგად იცით, რომ კომოვოიაჟერი, რომელიც თითქმის მთელი წელი ფირმის გარეთ იმყოფება, შესაძლოა ადვილად გახდეს ჭორების, შემთხვევებისა და უსაფუძვლო ბრალდებების მსხვერპლი. ამის წინააღმდეგ ის უძლურია, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მის ყურამდე ეს ამბები არ მიდის. ის მხოლოდ მწარე შედეგს იწვნევს ხოლმე, როცა მორიგი მგზავრობიდან დაქანცული ბრუნდება. ბატონო მმართველო, სიტყვის უთქმელად ნუ წახვალთ, მაგრძნობინეთ მაინც, რომ მამართლებთ."

მაგრამ მმართველმა გრეგორს პირველი სიტყვებისთანავე ზურგი აქცია და გაბღენძილი, მხარს უკანღა გამოხედავდა ხოლმე. გრეგორის მონოლოგის დროს ის თან გრეგორს უთვალთვალებდა, თან ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიპარებოდა კარისკენ, თითქოს ოთახიდან გასვლა აკრძალული და, ამავე დროს, საიდუმლოებით მოცული ყოფილიყო. როგორც იქნა, მიუახლოვდა წინა ოთახს და სასტუმრო ოთახიდან ფეხი ისე სწრაფად გადადგა, გეგონებოდათ, ტერფზე ცეცხლი უკიდიაო. და თითქოს ზეციურ ნეტარებას ელტვისო, მარჯვენა ხელი კიბისკენ აღმართა.

გრეგორს ესმოდა, რომ ასეთ განწყობაზე მყოფი მმართველის გაშვება დაუშვებელი იყო, ეს ფირმაში მის მდგომარეობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. მშობლებს არ ესმოდათ ამდენი. ამ წლების განმავლობაში მათ თავი დაირწმუნეს, რომ გრეგორს ამ საქმით მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი ჰქონდა. ამ უცაბედმა საზრუნავმა კი განსჯის უნარი საერთოდ დააკარგვინათ. მმართველის შეჩერება, დამშვიდება, გადმობირება იყო საჭირო. გრეგორის

და მთელი მისი ოჯახის მომავალი ახლა მასზე ეკიდა. და მაინც ყოფილიყო აქ. ის ყველაზე ჭკვიანი იყო. ჯერ კიდევ მაშინ ატირდა, როცა გრეგორი მშვიდად იწვა ზურგზე. ეჭვგარეშეა, რომ მმართველი, ეს ძველი არშიყი, მას მიემხრობოდა. გრეტა კარს ჩარაზავდა და მმართველის გადაბირებას შეეცდებოდა. სამწუხაროდ, ის აქ არ იყო, ამიტომ გრეგორს თვითონ უნდა ემოქმედა. მაგრამ მას ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდა თავის ახლანდელ შესაძლებლობებზე, მაგალითად, გადაადგილების უნარზე. ვერც იმას ხვდებოდა, რომ მისი ლაპარაკი, სავარაუდოდ, არავის ესმოდა. ამ ყველაფრის გაუცნობიერებლად, გრეგორი დარაბას მოშორდა და მმართველისკენ გაიწია. მმართველი უკვე ბაქანზე იდგა, მოაჯირს სასაცილოდ ჩაფრენილი. მისკენ მიმავალმა გრეგორმა თავი ვეღარ შეიმაგრა, ვერც საყრდენი იპოვა და ხმაურით დაეცა პატარა, მრავალრიცხოვან ფეხებზე.

ამ მდგომარეობაში მყოფმა, დღის განმავლობაში პირველად, თავი მოხერხებულად იგრძნო. ის ახლა მყარად იდგა და ფეხებსაც, მისდა სასიხარულოდ, მთლიანად იმორჩილებდა. ისინი მზად იყვნენ, გრეგორი სასურველი მიმართულებით გადაეადგილებინათ. გრეგორს იმედი მიეცა - ჩემი ტანჯვა დასასრულს უახლოვდებაო. მაგრამ სწორედ ამ დროს, მანამდე თითქოს გათიშული დედა უეცრად წამოხტა და მკლავებგაშლილი და თითებგაფარჩხული, ყვირილს მოჰყვა: „მიშველეთ! ღვთის გულისათვის, მიშველეთ!“ - ყვიროდა ის. გრეგორი შორიახლოს, მის პირისპირ იწვა და დაცემის შემდეგ ჯერ ისევ ირხეოდა. დედამ თავი დახარა, თითქოს მისი კარგად დათვალიერება სურსო, მაგრამ დათვალიერების ნაცვლად გონდაკარგულმა იმწამსვე უკან დაიხია. არ გაახსენდა მის უკან გაწყობილი მაგიდა, დაუდევრად ჩამოჯდა მასზე და ვერც კი შენიშნა, ისე გადააპირქვავა იქვე მდგომი ყავადანი, რომლიდანაც ყავა პირდაპირ ხალიჩაზე გადმოთქრიალდა.

„დედა, დედა!“ - თქვა გრეგორმა ხმადაბლა და დედას ახედა. მმართველი წამით ამოუვარდა თავიდან. სამაგიეროდ, გადმოღვრილი ყავის დანახვაზე თავი ვერ შეიკავა და დაღებული ყბები ყავის წვეთებს შეუშვირა. ამის დანახვაზე დედამ ისევ იყვირა, მაგიდიდან წამოხტა და მისკენ საშველად გამოვარდნილ მამას მკლავებში ჩაუვარდა. გრეგორს ახლა მშობლებისთვის არ ეცალა. მმართველი უკვე კიბეზე იდგა, ნიკაპით მოაჯირს დაყრდნობილი და უკანასკნელად იხედებოდა უკან. გრეგორი დასაწევად გაედევნა, მაგრამ მმართველმა, თითქოს ჩანაფიქრს მიუხვდაო, კიბიდან ისკუპა და გაუჩინარდა. მანამდე კი მოასწრო და ამოიძახა: „უჰ!“ ეს ხმა ექოსავით გაისმა მთელ სადარბაზოში. მმართველის გაქცევამ თითქოს მდგომარეობიდან გამოიყვანა მამა, რომელიც აქამდე წონასწორობას ინარჩუნებდა. ნაცვლად იმისა, რომ მმართველს შესაჩერებლად გაკიდებოდა, ან გრეგორისთვის მაინც არ შეეშალა ხელი, ის მარჯვენა ხელით ხელჯოხს დასწვდა (რომელიც მმართველს ქუდთან და

პალტოსთან ერთად სავარძელზე დარჩენოდა), მეორე ხელით გაზეთი აიტაცა და ასე, ფეხების ბაკუნით, მოღერებული ჯოხითა და მოქნეული გაზეთით შეეცადა გრეგორის გაგდებას ოთახისაკენ. გრეგორის ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა (მამას არ ესმოდა მისი), მამამ მხოლოდ ფეხების ბაკუნს უმატა. დედას, ცივი ამინდის მიუხედავად, ფანჯრები გამოეხსნა და სახეზეხელაფარებული თავი გარეთ გაეყო. შიგნით უცებ ამოვარდნილმა ორპირმა ქარმა ფარდები ააფრიალა, მაგიდაზე გაზეთები ააშრიალა და ფურცლები იატაკზე მოფანტა. მამა უმოწყალოდ უტევდა გრეგორს და ველურივით ხვნეშოდა. გრეგორს უკან სვლის გამოცდილება ჯერ არ ჰქონდა, ამიტომ ძალიან ნელა უწევდა გადაადგილება. შებრუნების უფლება რომ მიეცათ, ახლა უკვე ოთახში იქნებოდა, მაგრამ ამას დრო სჭირდებოდა და ამ დროის განმავლობაში უფრო მეტად გაავებულ მამას შესაძლოა სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა მისთვის. გრეგორს ეშინოდა ამის, მაგრამ სხვა გზა მაინც არ ჩანდა, რადგან შეძრწუნებულს, უკან-უკან მიმავალს, უკვე მიმართულების გარჩევა უჭირდა. ამიტომ, რაც შეეძლო სწრაფად, სინამდვილეში კი ძალიან ნელა, მან შემობრუნება დაიწყო. თან მამას მისჩერებოდა, შეშინებული. მამამ, თითქოს განზრახვას მიუხვდაო, ხელი არ შეუშალა. პირიქით, ხელჯოხით დირიჟორობდა კიდეც მის მოძრაობას და ჯოხის წვეტით მიმართულებას ანიშნებდა. მამის აუტანელი ხვნეშა თავგზას ურევდა გრეგორს. თითქმის მიბრუნებული, ამ ხვნეშას ყურს ვერ წყვეტდა და ამის გამო დაბნეული, ისევ მამისკენ ტრიალდებოდა. როცა, ბოლოს და ბოლოს, კარამდე მიაღწია, აღმოაჩინა, რომ საკმაოდ განიერი იყო და კარში ასე მარტივად ვერ შეეტეოდა. გაავებულ მამას, რა თქმა უნდა, თავში არ მოსვლია კარის მეორე ნაწილის გაღება და გრეგორისთვის ადგილის გათავისუფლება. ის მხოლოდ ერთ აზრს ჰყავდა შეპყრობილი - რაც შეიძლება მალე შეეგდო გრეგორი თავის ოთახში. რაღა თქმა უნდა, ვერც იმ აუცილებელ მოსამზადებელ მოქმედებას აიტანდა, რომელიც გრეგორს ოთახში შეღწევისთვის სჭირდებოდა. მამა მას ხმაურიანად, მთელი ძალით მიდენიდა ოთახისკენ, თითქოს არსებულ დაბრკოლებებს ვერ ამჩნევსო. ეს ხმა უკვე აღარ ჰგავდა მამისას. ვითარება ძალიან რთული იყო. რაც მოხდება, მოხდეს, გაიფიქრა გრეგორმა და მთელი ტანით შეეჩხირა კარის ჩარჩოში. ამ დროს სხეულის ერთი ნაწილი ზემოთ აეღრიცა, ფერდი დაესერა და თეთრი კარი საზიზღარი ლაქებით დასვარა. განძრევაც აღარ შეეძლო, ისე მყარად იყო გაჭედილი ჩარჩოში. ერთ მხარეს ჰაერში დაკიდებული ფეხებიღა უთრთოდა საწყლად. მეორე მხარე კი იატაკზე ჰქონდა მტკივნეულად მიჭეჭყილი. ასეთ მდგომარეობაში მყოფს მამამ უეცრად ისეთი ძალით დაარტყა უკნიდან, რომ გასისხლიანებული გრეგორი კარიდან ჰაერში ავარდა და თავისი ოთახის იატაკზე დაენარცხა. მის ზურგსუკან კარი ჯოხით მოაჯახუნეს, რის შემდეგაც, როგორც იქნა, ყველაფერი დამშვიდდა.

2.

გრეგორი შებინდებისასღა გამოფხიზლდა ღრმა, გონებისგამთიშველი ძილიდან. გაღვიძებას, სავარაუდოდ, ყოველგვარი ზეწოლის გარეშეც არ დააყოვნებდა, რადგან თავს დასვენებულად და გამოძინებულად გრძნობდა. თუმცა ახლა მოეჩვენა, რომ წინა ოთახში გაჯახუნებულმა კარის ხმამ გააღვიძა. ჭერს და ავეჯს ქუჩის განათების შუქი ეფინა, ქვემოთ კი, გრეგორთან უკუნი სიბნელე იდგა. ის შეეცადა, ნელა მიცოცებულიყო კართან და გაერკვია, რა მოხდა. საცეცებით, რომლებიც ახლაღა დააფასა, ფრთხილად სინჯავდა გზას. სხეულის მარცხენა მხარე ერთ დიდ, მტანჯველ ჭრილობად გადაქცეოდა, რის გამოც სიარულისას კოჭლობა უწევდა. დილანდელი ამბების დროს მძიმედ დაშავებოდა ერთი ფეხიც (სხვა ფეხები სასწაულებრივად გადარჩენილიყვნენ), რომელსაც ახლა უხალისოდ მიითრევდა უკან.

კართან მისული მიხვდა - საჭმლის სუნი იყო, რამაც იქით გაიტყუა. იქვე იდგა ტკბილი რძით სავსე ჯამი, რომელშიც თეთრი პური ჩაეფშვნათ. დილანდელზე მეტად შიოდა, ამიტომ სიხარულისგან ლამის გაეცინა და თავი თვალებამდე ჩაყო რძიან ჯამში. თუმცა გაწბილებულმა მაშინვე უკან ამოსწია. ამის მიზეზი არ გახლდათ დაზიანებული მარცხენა მხარი, რომელიც ასე აწუხებდა და რომლის გამოც ჭამის დროს მთელი სხეულის დაძაბვა მოუწევდა, არამედ ის, რომ რძე, აქამდე მისი საყვარელი საჭმელი, რის გამოც დას სწორედ რძე შემოედგა მისთვის, ახლა საშინლად უგემური ეჩვენა. თითქმის ზიზღით აქცია ზურგი ჯამს და ოთახის შუაგულისკენ გაცოცდა.

სასტუმრო ოთახში, როგორც გრეგორმა კარის ღრიჭოდან მოჰკრა თვალი, სინათლე უკვე აენთოთ. თუმცა, თუ ჩვეულებრივ ამ დროს მამას ჩვევად ჰქონდა დედისა და დისთვის გაზეთების კითხვა, ახლა იქ სიჩუმე სუფევდა. შესაძლოა, ამ ხმამაღლა კითხვას, როგორც დაც ხშირად სწერდა წერილებში, ბოლო დროს საერთოდაც ანებეს თავი. სახლში ჩქამი არ ისმოდა, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად ყველა შინ იყო. „რა მშვიდად ცხოვრობს ჩემი ოჯახი," - გაიფიქრა სიბნელეს მიშტერებულმა გრეგორმა. იმის გაცნობიერებამ, რომ სწორედ მისი დამსახურებით ცხოვრობდნენ მშობლები და და ასეთ მშვენიერ ბინაში უზრუნველად, სიამაყე მოჰგვარა. ნუთუ ამ სიმშვიდეს, მყუდროებასა და კმაყოფილებას საფრთხე ემუქრებოდა? ამგვარი ფიქრებისგან თავის დასაღწევად, ოთახში აქეთ-იქით ცოცვას მოჰყვა.

ამ გრძელი საღამოს განმავლობაში ორივე კარი მხოლოდ ერთხელ, ფრთხილად შეაღეს და უცებვე მიხურეს. როგორც ჩანდა, ვიღაცას შემოსვლა ვერ გაებედა. გრეგორი სასტუმრო ოთახის წინ დადარაჯდა და გადაწყვიტა, მოყოყმანე სტუმარი როგორმე ოთახში

შემოეყვანა, ან მისი ვინაობა მაინც შეეტყო. მაგრამ ამაოდ - კარის გაღება აღარავის უცდია. უცნაური ის იყო, რომ ადრე, როცა კარი ჩარაზული ჰქონდა, ყველა მასთან შეღწევას ცდილობდა, ახლა კი, როცა ერთი კარი გრეგორმა გააღო და მეორე კარის გაღებაზეც, დღის განმავლობაში, სავარაუდოდ, თვითონვე იზრუნეს, მასთან შემოსვლის სურვილი რატომღაც აღარავის ჰქონდა. გასაღებიც უკვე გარედან ეკეთა კარს.

სასტუმრო ოთახში სინათლე გვიან ღამით ჩააქრეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მშობლები და და გვიანობამდე ფხიზლობდნენ, ახლაღა დაიშალნენ და ფეხაკრეფით გაიკრიფნენ თავ-თავიანთი ოთახებისკენ. ახლა კი გრეგორს დილამდე ნამდვილად აღარავინ ესტუმრებოდა. მაშასადამე, ხელსაც არავინ შეუშლიდა და ესე იგი დროც ჰქონდა მომავალი გეგმების დასალაგებლად. ეს მაღალი, თითქმის ცარიელი ოთახი, რომელშიც ის იატაკზე იყო გართხმული, შიშს ჰგვრიდა. თუმცა ეს შიში საკმაოდ უსაფუძვლო ჩანდა - ამ ოთახში ხომ უკვე ხუთი წელია, ცხოვრობდა. დარცხვენილი და დაბნეული, დივანისკენ გაემართა, მის ქვეშ შეძვრა და, მიუხედავად იმისა, რომ ზურგიც ჩაეჭყლიტა და თავის გამოძრავებაც გაუჭირდა, ძალიან მყუდროდ იგრძნო თავი. გული მხოლოდ იმაზე დასწყდა, რომ განიერი ტანის გამო დივანის ქვეშ მთლიანად ვერ შეეტია.

ასე გაატარა მთელი ღამე. მთვლემარე გრეგორს ხან შიმშილი უფრთხობდა ძილს, ხანაც დარდი და ბუნდოვანი ფიქრები. ისინი კარნახობდნენ, რომ ჯერჯერობით სიმშვიდის შენარჩუნება იყო საჭირო, რათა მოთმინებითა და წინდახედულობით ოჯახის წევრებისთვის ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მდგომარეობა, რომელშიც ისინი გრეგორის წყალობით აღმოჩნდნენ.

მიღებული გადაწყვეტილების სიმტკიცის გადამოწმების საშუალება გრეგორს იმავე დილით მიეცა. ჯერ გათენებულიც არ იყო, როცა წინა ოთახის კარი გაიღო და ოთახში ინტერესით შემოყო თავი თითქმის მთლიანად ჩაცმულმა დამ. გრეგორი ჯერ არ ჩანდა, მაგრამ აშკარად სადღაც იქ იყო. და როცა ბოლოს და ბოლოს დამ ის დივანის ქვეშ აღმოაჩინა (ღმერთო, აბა ასე უკვალოდ ხომ არ გაქრებოდა ოთახიდან), შეშინებულმა გრეტამ თავი ვეღარ შეიკავა, ოთახიდან გავარდა და კარი მაგრად მიიჯახუნა. მაგრამ თავისი საქციელით შეწუხებული, მაშინვე უკან შემობრუნდა და ოთახში ფეხისწვერებზე სიარულს მოჰყვა, თითქოს მძიმე ავადმყოფის, ან სრულიად უცხო ადამიანის მოსანახულებლად ყოფილიყო მისული. გრეგორმა დივანის ქვეშიდან თავი გამოყო და დას იმედიანად მიაჩერდა - იქნებ გრეტას შეემჩნია ხელუხლებელი რძე (რომლის დატოვების მიზეზი უმადობა როდი გახლდათ) და სხვა, უფრო შესაფერისი საჭმელი შემოეტანა მისთვის. ოღონდ აუცილებელი

იყო, გრეტას ეს საკუთარი ინიციატივით გაეკეთებინა, რადგან გრეგორს დის ყურადღების მიპყრობას უმალ შიმშილით სიკვდილი ერჩივნა. თუცა უკვე იმისთვისაც მზად გახლდათ, რომ გამომძვრალიყო, დას ფეხებში ჩავარდნოდა და მისთვის გემრიელი საჭმელი ეთხოვა. გრეტამ მართლაც შენიშნა რძის ჯამი და მის გარშემო გადმოღვრილი რძე. ჩვრიანი ხელით ფრთხილად აიღო და ოთახიდან გაიტანა. გრეგორს ძალიან აინტერესებდა, რა საჭმელს შემოუტანდნენ ამჯერად. თავში ათასი რამ უტრიალებდა, მაგრამ მოწყალე გრეტას ჩანაფიქრს ვერასოდეს გამოიცნობდა. მან, გრეგორის გემოვნება რომ შეემოწმებინა, ოთახში გაზეთზე გაშლილი რამდენიმე სახეობის საჭმელი შემოიტანა. ეს გახლდათ ძველი, ნახევრად დამპალი ბოსტნეული, ვახშმიდან მორჩენილი ძვლები, თეთრი სოუზის ნარჩენი, ორიოდე ქიშმიში და ნუში. ასევე ყველი, რომელიც გრეგორმა რამდენიმე დღის წინ უვარგისად გამოაცხადა, ხმელი პური, ერთი ნაჭერი კარაქიანი პური და ერთიც კარაქწასმული და ზედ მარილმოყრილი პურის ნაჭერი. ამ ყველაფერს თან ახლდა, ეტყობა უკვე სამუდამოდ გრეგორისთვის განსაზღვრული, ამჯერად უკვე წყლით სავსე ჯამი. გრეტამ იცოდა, რომ გრეგორი მისი თანდასწრებით არაფერს შეჭამდა. ამიტომ, მისთვის სიამოვნება და მყუდროება რომ არ დაერღვია, მორიდებით დატოვა იქაურობა და გასვლის შემდეგ კარიც გარედან გადაკეტა. საჭმლისკენ გავარდნილი გრეგორის ფეხები ერთიმეორეზე მეტად აჩქარდნენ. ჭრილობებიც მთლიანად მორჩენოდა და, მისდა გასაკვირად, სხვაც ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. უცებ ერთი თვის წინ გაჭრილი თითი გაახსენდა, რომელიც ამ ორი დღის წინაც კი არ ჰქონდა კარგად შეხორცებული, ამიტომ გაუკვირდა - „ნუთუ ნაკლებად მგრძნობიარე გავხდი?“ - გაიფიქრა და ხარბად დააცხრა ყველს, რომელიც ყველა სხვა საჭმელზე მეტად იზიდავდა. თვალებდანისლულმა სწრაფად, ერთმანეთის მიყოლებით გადასანსლა ყველი, ბოსტნეული და სოუსი. ახალი საჭმელი, ნარჩენებისგან განსხვავებით, საერთოდ არ ეგემრიელებოდა, უფრო მეტიც, მისი სუნიც კი აღიზიანებდა და მას ძველი ნარჩენებისგან აცალკევებდა. ჭამა უცებ მოამთავრა და იქვე ზანტად გაწვა. ამ დროს დამ, მისთვის უკან დახევა რომ ეცლია, კარში გასაღები რაც შეიძლება ნელა გადაატრიალა. ამ ხმაურზე თითქმის მთვლემარე გრეგორი შეკრთა, გამოფხიზლდა და ისევ დივანის ქვეშ შესაძრომად გაიზლაზნა. თავს ძალას ატანდა და ცდილობდა, რომ დის იქ ყოფნის განმავლობაში როგორმე დივანის ქვეშ გაეძლო. ეს ადვილი არ იყო, რადგან ჭამის შემდეგ ტანი საგრძნობლად დაუმრგვალდა და თან იმ სივიწროვეში სუნთქვაც უჭირდა. ასე სუნთქვაჩქარებული და თვალებგაფართოებული ელოდებოდა დას. გრეტამ ნარჩენები ცოცხით მოხვეტა და ხელუხლებელი საჭმელიც მიაყოლა, თითქოს ყველაფერი, რაც იქ ელაგა, უვარგისი ყოფილიყო. შემდეგ ნარჩენები სათლში მოაგროვა, ხის თავსახურით დალუქა და ოთახიდან საჩქაროდ გაიტანა. გრეგორი დის გასვლისთანავე გამოძვრა დივანის ქვეშიდან, გაიზმორა და ნეტარებისგან გაიბერა.

ასე იღებდა ის ყოველდღიურ სარჩოს. პირველად დილით, როცა მშობლებსა და მოსამსახურეს ეძინათ, შემდეგ კი ნასადილევს, რადგან მშობლები ამ დროსაც დასაძინებლად ემზადებოდნენ, მოსამსახურე კი დის დავალებით სახლიდან გადიოდა. გრეგორის დამშევა, რა თქმა უნდა, თავში არავის მოსვლია, მაგრამ როგორც ჩანდა, მის ოთახში შესვლას და იმის ნახვას, თუ რას და როგორ ჭამდა გრეგორი, ერჩივნათ, მისი ამბები გრეტასგან შეეტყოთ. ეტყობა, დაც ცდილობდა, ამ გზით ოდნავ, მაგრამ მაინც შეემსუბუქებინა მშობლებისთვის ისედაც გატანჯული ყოფა.

გრეგორისთვის უცნობი დარჩა, რა საბაბით გააბრუნეს დილით ექიმი და ზეინკალი.

მართალია მისი საუბარი არავის ესმოდა, მაგრამ თავად ხომ კარგად ესმოდა ყველასი, ეს კი რატომღაც თავში არავის (მათ შორის, არც დას) მოსდიოდა. ამიტომ გრეგორი იძულებული იყო, მხოლოდ დის ოთახიდან გამომავალი ოხვრითა და ვედრებით დაკმაყოფილებულიყო, რომელსაც გრეტა დროდადრო წმინდანებისადმი აღავლენდა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა და ნაწილობრივ შეეგუა ვითარებას (სრულად შეგუებაზე, რაღა თქმა უნდა, ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო), გრეგორი ყურს მოკრავდა ხოლმე მის კეთილგანწყობილ შენიშვნებს: „დღეს გემრიელად მიირთვა," - ამბობდა გრეტა, როცა გრეგორი საჭმელს მოასუფთავებდა. ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში, რაც სულ უფრო ხშირად ხდებოდა, დანანებით იმეორებდა - „პირიც არაფრისთვის დაუკარებია".

მართალია ახალი ამბები გრეგორის ყურამდე უშუალოდ არ აღწევდა, მაგრამ გარშემო ოთახებიდან ადვილად შეიძლებოდა მათი გაგება, ამიტომ როგორც კი საუბარს მოჰკრავდა ყურს, მაშინვე შესაბამისი კარისკენ გარბოდა და მას მთელი ტანით ეკვროდა. პირველ ხანებში ყველანაირი საუბარი, თუნდაც გასაიდუმლოებულად, მაგრამ მაინც მას ეხებოდა. ორი დღის განმავლობაში საუზმეზე, სადილად და ვახშმად მხოლოდ იმაზე ბჭობდნენ, თუ როგორ უნდა ემოქმედათ სამომავლოდ. შუალედებშიც კი მხოლოდ ეს თემა იყო აქტუალური. იმის გამო, რომ მარტო დარჩენა არავის სურდა, სახლის დატოვება კი გამორიცხული იყო, შინ ყოველთვის რჩებოდა ოჯახის მინიმუმ ორი წევრი. მოსამსახურე (უცნობია, რა და რამდენი იცოდა მან მომხდარის შესახებ) პირველსავე დღეს მუხლებზე დამხობილი შეევედრა დედას და გათავისუფლება სთხოვა. შემდეგ კი აცრემლებულმა, გულითადი მადლობა გადაუხადა ვითომდა მის მიმართ გამოჩენილი უდიდესი სიკეთის გამო და ისე, რომ არავის უთხოვია, შეშინებულმა აღთქმაც დადო - მომხდარზე სიტყვაც კი არ დასცდენოდა.

გრეტა იძულებული გახდა, დედასთან შეთავსებით, სამზარეულო საქმე თავის თავზე

აეღო. ეს არ იყო ძნელი, რადგან ოჯახში თითქმის არავინ ჭამდა. გრეგორს მუდმივად ესმოდა, როგორ მოუწოდებდა ერთი მეორეს ჭამისკენ, ის კი პასუხობდა: „გმადლობ, საკმარისი გეახელი.“ როგორც ჩანს, სმითაც არაფერს სვამდნენ. გრეტა ხშირად სთავაზობდა მამას ლუდს, მზად იყო, თვითონვე მოეტანა ის მამისთვის, რაზეც მამა მხოლოდ დუმდა. ხოლო როცა გრეტა დიასახლისის გაგზავნას დააპირებდა ლუდის მოსატანად, მამა უკვე ხმამაღლა ამბობდა უარს და ლუდზე საუბარიც ამით მთავრდებოდა.

მამამ პირველივე დღეებში დაიწყო დედის და დის გარკვევა ოჯახის ქონებრივ შესაძლებლობებში. ის წარამარა დგებოდა სუფრიდან და თავისი საიდუმლო სალაროდან, რომელიც ამ ხუთი წლის წინანდელი ბიზნესიდან შემორჩენოდა, ქვითრები და დავთრები გამოჰქონდა. გრეგორს ესმოდა, როგორ აღებდა მამა რთულ საკეტს და საჭირო საბუთის ამოღების შემდეგ ისევ საგულდაგულოდ კეტავდა მას. ეს იყო პირველი სასიამოვნო სიახლე, რაც გრეგორს ამ დღეებში გაეგო. აქამდე ეგონა, რომ მამას ბიზნესიდან არაფერი ჰქონდა დარჩენილი. ყოველ შემთხვევაში, მას ამ საკითხზე არასდროს არაფერი უთქვამს და არც გრეგორს უკითხავს ოდესმე. იმ დროს გრეგორის ერთადერთი მიზანი იყო თავისი ოჯახისთვის რაც შეიძლება სწრაფად გადაევიწყებინა თავს დამტყდარი დიდი ფინანსური უბედურება, რის გამოც ოჯახი სრულ უიმედობაში აღმოჩენილიყო. ამ მიზნის მისაღწევად გრეგორი მთელი მონდომებით შრომობდა და მალე უბრალო ნოქრიდან კომოვოიაჟერიც გახდა. კომოვოიაჟერობა კი, ცხადია, სრულიად სხვა შემოსავალს ნიშნავდა. ყოველ წარმატებას ფირმა მას ფულად უნაღდებდა. ამ ფულს კი გრეგორი განცვიფრებულ და ბედნიერ ოჯახს ყოველ ჯერზე მაგიდაზე უტოვებდა. რა ბედნიერი დრო იყო. და მიუხედავად იმისა, რომ გრეგორს მერეც იმხელა შემოსავალი ჰქონდა, რომ მთელი ოჯახის შენახვა შეეძლო, ეს ბრწყინვალე დრო აღარასოდეს განმეორებულა. ოჯახიც და გრეგორიც მალე შეეჩვივნენ ასეთ ცხოვრებას: გრეგორს სიამოვნებით მოჰქონდა ფული, დანარჩენები კი მას სიამოვნებით იღებდნენ, თუმცა განსაკუთრებული სითბო ამ ამბავს აღარ ახლდა. მხოლოდ დისგან გრძნობდა სიახლოვეს. დისგან, რომლის მიმართაც გრეგორს საიდუმლო გეგმები დაესახა: გრეტას, გრეგორისგან განსხვავებით, მუსიკა უყვარდა და ვიოლინოზეც ამაღელვებლად შეეძლო დაკვრა. ამიტომ, მიუხედავად დიდი ხარჯებისა, რასაც კონსერვატორიაში სწავლა მოითხოვდა და რის დაფარვაც რამენაირად უნდა მოეხერხებინა, გრეგორს მომავალი წლიდან დის კონსერვატორიაში გაგზავნა გადაეწყვიტა. გრეტასთან საუბარში ის ხშირად ახსენებდა კონსერვატორიას, მაგრამ მხოლოდ როგორც ლამაზ, განსახორციელებლად წარმოუდგენელ ოცნებას. მშობლებს ამ თემაზე უწყინარი საუბარიც კი საოცრად აღიზიანებდათ. გრეგორის გადაწყვეტილება კი სერიოზული იყო და ამ გადაწყვეტილების

გამხელა შობა საღამოს, სადღესასწაულო ვითარებაში სურდა ოჯახის წევრებისათვის.

ასეთი, მისი ახლანდელი მდგომარეობისთვის შეუფერებელი ფიქრები უტრიალებდა თავში კარზე აკრულ და ოჯახის საუბარს მიყურადებულ გრეგორს. გადაღლილს, დროდადრო ყურის მიგდებაც აღარ შეეძლო. ასეთ დროს დაუდევრად ჩაქინდრულ თავს კარს ანარცხებდა. თუმცა, სწრაფადვე მოდიოდა გონს და მაშინვე სწორდებოდა, რადგან მისი ოთახიდან გამავალ ოდნავ ხმაურზეც კი გარეთ მყოფები საუბარს წყვეტდნენ. „ახლა რაღას ხლაფორთობს," ამბობდა კარისკენ მიბრუნებული მამა და შეწყვეტილ საუბარს გვიანღა აგრძელებდა.

საუბრისას მამას ხშირად უწევდა ნათქვამის გამეორება. ნაწილობრივ იმის გამო, რომ ძველ საქმესთან უკვე დიდი დრო აშორებდა. ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ დედას ერთი ახსნით ვერაფერს აგებინებდა. გრეგორმა სწორედ ამ საუბრებიდან შეიტყო, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ოჯახში ძველი დროიდან მცირეოდენი თანხა მაინც იყო შემორჩენილი. უფრო მეტიც - რადგან პროცენტების მონაგებს ხელს არ კიდებდნენ, ბოლო წლებში თანხა კიდეც გაზრდილიყო. გარდა ამისა, გრეგორის მიერ სახლში შემოტანილი ფული (ის ხომ თავისთვის მხოლოდ რამდენიმე გულდენს იტოვებდა) მთლიანად არ იხარჯებოდა და, მაშასადამე, გარკვეულ კაპიტალად დაგროვებულიყო. თავისი ოთახის კარსუკან მდგარი გრეგორი გულმოდგინედ აქნევდა თავს, ოჯახის სიფრთხილითა და მომჭირნეობით აღფრთოვანებული. სხვათა შორის, ამ ზედმეტი ფულით მას შეეძლო მამის ვალები ნაწილობრივ მაინც დაეფარა და ის დღეც მოეახლოვებინა, როცა ის თავისი ნებით იტყოდა უარს სამსახურზე. თუმცა, მამის ამგვარ წინდახედულებას ახლა ყოველ მიზეზ გარეშე მართებულად მიიჩნევდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ეს ფული არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ოჯახს პროცენტების მონაგებით ეცხოვრა. ეს თანხა მაქსიმუმ ორი წლით გაატანინებდათ თავს. ანუ, ეს იყო შავი დღისთვის შემონახული ფული, რომლისთვისაც ხელი არ უნდა ეხლოთ. საცხოვრებელ ფულზე კი როგორმე უნდა ეზრუნათ. მამა მართალია ჯანმრთელი, მაგრამ მაინც მოხუცი იყო. უკვე ხუთი წელი იყო, აღარ მუშაობდა და ამ მხრივ თავის იმედი არც ჰქონდა. ამ ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც მისი მუდამ დატვირთული, მაგრამ მაინც წარუმატებული ცხოვრების ერთადერთ შვებულებას შეადგენდა, ის სიმსუქნისგან საკმაოდ დამძიმებულიყო. ან მოხუც დედას როგორ უნდა ემუშავა. ასთმით დატანჯულს, სახლში გადასაადგილებლადაც კი ძალისხმევა სჭირდებოდა და ყოველ მეორე დღეს, შეტევებისგან გატანჯული, დივანზე ითქვამდა სულს. ვერც და იმუშავებდა. ჩვიდმეტი წლის ასაკში ის ჯერ მთლად ბავშვი იყო და უფლებაც ჰქონდა, ასაკის შესაფერისად ეცხოვრა - მოხდენილად

ჩაეცვა, გვიანობამდე ეძინა, დედას სახლის საქმეებში დახმარებოდა, უწყინარ გართობებში მიეღო მონაწილეობა და, რაც მთავარია, ვიოლინოზე დაეკრა. როცა ოჯახი ამ ყველაფრისთვის საჭირო ფულზე იწყებდა საუბარს, გრეგორი მაშინვე სწყდებოდა კარს და ტყავის დივანზე გაწოლილი, დადარდიანებული, სირცხვილისგან იწვოდა.

ასე იწვა ის მთელი ღამეების განმავლობაში, სრულიად უძილო, და საათები ტყავის დივანზე წრიალში გაჰყავდა. ანდა თავს ძალას ატანდა, ბევრი ხლაფორთის შედეგად, სავარძელს ფანჯარასთან აჩოჩებდა, ფანჯრის რიკულებზე აცოცებული იქიდან სავარძელში ეშვებოდა და გარეთ იყურებოდა. ასე ცდილობდა, აღედგინა თავისუფლების ის მძაფრი განცდა, რომელიც ადრე ეუფლებოდა ხოლმე ფანჯრიდან ყურებისას. საგნების გარჩევა დღითიდღე სულ უფრო ძნელი ხდებოდა მისთვის. ის წყეული საავადმყოფოც კი, რომელიც ადრე წარამარა თვალში ჰქონდა გაჩხერილი, ახლა თითქმის შეუმჩნეველი გამხდარიყო. და რომ არა მეხსიერება, რომლის მიხედვითაც ქალაქის წყნარ უბანში, შარლოტენშტრასეზე ცხოვრობდა, გრეგორს თავისუფლად შეეძლო ეფიქრა, რომ თავისი ფანჯრიდან უდაბნოს გადაჰყურებდა, სადაც რუხი ცა და მიწა ერთმანეთში შერწყმულიყო. ყურადღებიანმა დამ ორჯერ შეამჩნია ფანჯარასთან მიმდგარი სავარძელი, რის შემდეგაც, ოთახის დალაგებისას მას ისევ ფანჯარასთან დგამდა და ოთახში ფანჯრის დარაბებსაც ღიას ტოვებდა.

მადლობის გადახდა მაინც რომ შეძლებოდა დისთვის, იმ ყველაფრის გამო, რასაც ის გრეგორისთვის ცდილობდა, ამით იქნებ საქმეც კი შეემსუბუქებინა გრეტასთვის. ამაზე დარდი არ ასვენებდა. გრეტა ყველანაირად ცდილობდა, არ შეემჩნია უსიამოვნო გარემო და დროთა განმავლობაში სულ უფრო კარგადაც გამოსდიოდა ეს, მაგრამ გრეგორიც ხომ სულ უფრო უკეთ აფასებდა ვითარებას. ახლა დის შემოსვლაც კი თავზარს სცემდა. თუ გრეტა მანამდე გრეგორის ოთახში არავის ახედებდა, ახლა ის შემოსვლისთანავე პირდაპირ ფანჯრისკენ იღებდა გეზს და იქამდე მისული, გეგონება სუნთქვა ეკვრისო, ყველაზე ცივ ამინდშიც კი დიდხანს იდგა გამოღებულ ფანჯრებთან. ამ სირბილითა და ხმაურით ის გრეგორს დღეში ორჯერ აწუხებდა. ამ დროის განმავლობაში დივანის ქვეშ მოცახცახე ძმას ბოლომდე სჯეროდა, რომ გრეტას სხვა გზა არ ჰქონდა, რომ ჩარაზულ ფანჯრებში რომ შესძლებოდა გრეგორთან ერთად ყოფნა, აუცილებლად თავიდან ააცილებდა ძმას ამ მტანჯველ ხმაურს.

ერთხელ, გრეგორის გარდასახვიდან ერთი თვის შემდეგ, როცა წესით დას აღარ ჰქონდა მიზეზი გრეგორის გარეგნობით განცვიფრებისა, გრეტა ჩვეულებრივზე ოდნავ ადრე მოვიდა და ფანჯარასთან გაუნძრევლად მჯდომ, შემზარავი გამომეტყველების მქონე გრეგორს თავზე დაადგა. გრეგორისთვის გასაკვირი არ იქნებოდა, და საეროდ რომ არ

შემოსულიყო ოთახში, რადგან ამ ადგილას მჯდომი გრეგორი მას ფანჯრების თავისუფლად გაღების საშუალებას არ აძლევდა. გრეტა კი არა მხოლოდ შევიდა, არამედ, შესული, სასწრაფოდ უკან გავარდა და ზურგსუკან კარიც მიიჯახუნა. ისე, რომ უცხოს ეგონებოდა, გრეგორი ჩასაფრებულია და დის კბენა განუზრახავსო. ის, რა თქმა უნდა, მაშინვე დივანის ქვეშ დაიმალა და შუადღემდე მოუწია ცდა, სანამ და ისევ მოვიდოდა. თანაც გრეტა კიდევ უფრო აფორიაქებული ჩანდა. გრეგორისთვის ცხადი გახდა - დას მისი დანახვა არ შეეძლო და ამას ვერც ვერასდროს შეძლებდა. მას დიდ ძალისხმევად უჯდებოდა ძმის სხეულის იმ პატარა ნაწილის ატანაც კი, რაც გრეგორს დივანის ქვეშიდან მოუჩანდა. ეს ძალისხმევა რომ შეემსუბუქებინა, გრეგორმა ზურგით მოიტანა ზეწარი და ის დივანს ისეთნაირად გადააფარა, რომ მის ქვეშ მყოფი საერთოდ აღარ გამოჩენილიყო და გრეტას მუხლისჩოქებზე დამდგარსაც კი ვერ დაენახა ზეწრის მიღმა მყოფი გრეგორი. ამ მოქმედების შესასრულებლად ოთხი საათი დასჭირდა. თუ საჭიროდ ჩათვლიდა, დას შეეძლო, ისევ აეკეცა ზეწარი (გრეგორს ხომ, ბოლოს და ბოლოს, იმისთვის არ უწვალია, რომ თავი ზეწარს მიღმა გამოეკეტა), მაგრამ მან ზეწარი ჩამოფარებული დატოვა. ის კი არა და, როცა გრეგორმა მისი რეაქციის შესამოწმებლად ზეწარი ოდნავ გადასწია, დის მზერაში მადლობის ამოკითხვაც კი შეძლო.

პირველი თოთხმეტი დღის განმავლობაში მშობლებმა ვერ სძლიეს თავს და ვერ გაბედეს გრეგორის ოთახში შესვლა. გრეგორს ხშირად ესმოდა, როგორ აქებდნენ ისინი დას იმ საქმისთვის, რაც მას ეტვირთა. ეს მაშინ, როცა მანამდე მას დღემუდამ ქარაფშუტობისთვის საყვედურობდნენ. ახლა ყოველთვის გარეთ ელოდებოდნენ გრეტას, რომელიც გრეგორის ოთახში საქმიანობდა და რომელსაც გასვლისთანავე დეტალურად უნდა მოეყოლა მათთვის, თუ როგორ გამოიყურებოდა ოთახი, რა მიირთვა გრეგორმა, როგორ იქცეოდა ის ამჯერად და უკეთესობისკენ თუ შეიმჩნეოდა ცვლილებები. მოკლედ, დედას სურდა, რაც შეიძლება მალე მოენახულებინა გრეგორი. და და მამა, გონივრული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მას თავის შეკავებას ურჩევდნენ. გრეგორი ყურადღებით ისმენდა ამ მოსაზრებებს და ყოველმხრივ იზიარებდა კიდეც მათ. მოგვიანებით დანარჩენებს დედის ძალით დაკავებაც მოუწიათ. გრეგორს ესმოდა მისი სიტყვები:

„შემიშვით გრეგორთან, ის ხომ ჩემი შვილია, ჩემი უბედური შვილი, რატომ არ გესმით ეს!“ და ეჩვენებოდა, რომ ცუდი აზრი არ იყო, დედა ბოლოს და ბოლოს შემოეშვათ მასთან, რა თქმა უნდა, არა ყოველდღიურად, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც. მას ხომ ყველაფერი გრეტაზე უკეთ ესმოდა. გრეტა კი, მიუხედავად თავისი მამაცობისა, მაინც ბავშვი იყო და საბოლოოდ ეს საქმეც სწორედ თავისი ბავშვური სიმსუბუქის გამო ჰქონდა ნატვირთი.

დედის ნახვის სურვილი გრეგორს მალევე აუსრულდა. დღის განმავლობაში ის ცდილობდა, მშობლებისთვის ანგარიში გაეწია და ფანჯარაში აღარ გამოჩენილიყო. სულ რამდენიმე კვადრატული მეტრის მოცულობის იატაკზე ცოცვა აღარ გამოსდიოდა. გაუნძრევლად წოლა უკვე ღამითაც გაუსაძლისი გახდა. საჭმელიც დიდი ხანია სიამოვნებას აღარ ანიჭებდა. ამგვარად, თავის შექცევის ერთადერთი საშუალება ახლა კედლებსა და ჭერზე ცოცვა გამხდარიყო. განსაკუთრებით კარგად ჭერზე დაკიდებული გრძნობდა თავს. ეს არაფრით ჰგავდა იატაკზე წოლას. ამ დროს სუნთქვაც აღარ უჭირდა და სხეულიც სასიამოვნოდ ერხეოდა. ასე, თითქმის ნეტარებაში მყოფი, მოდუნებული, ხანდახან ჭერიდან წყდებოდა და იატაკზე ადენდა ზღართანს. მაგრამ სხეულის დამორჩილებაც უკვე უკეთ შეეძლო და ამგვარი დანარცხების შედეგადაც კი არაფერს დაიშავებდა. დამ, რა თქმა უნდა, უცებ შეამჩნია გრეგორის ახალი გასართობი - გრეგორი ხომ ცოცვისას წებოვან კვალს ტოვებდა. გრეტამ გადაწყვიტა, მისთვის ადგილი გამოეთავისუფლებინა და ავეჯი (უპირველესად კი საწერი მაგიდა და სკივრი), რომელიც, მისი აზრით, ხელს უშლიდა ძმას ცოცვაში, ოთახიდან გაეტანა. მამისთვის დახმარების თხოვნას ვერ გაბედავდა. მოსამსახურე გოგოსთვის ამის თქმას, ზუსტად იცოდა, აზრი არ ჰქონდა. ეს თექვსმეტი წლის გოგო, რომელიც ძველი მოსამსახურის ნაცვლად აიყვანეს, მართალია არაფერზე წუწუნებდა, მაგრამ მოსვლის დღიდან საშზარეულოს ჩაკეტვა მოითხოვა და იქიდან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოდიოდა. აქედან გამომდინარე, დას ისღა დარჩენოდა, მამის შინ არყოფნის დროს დახმარება დედისთვის ეთხოვა. დედამ პასუხად სიხარულით შეჰყვირა და გრეტას გაჰყვა, თუმცა, გრეგორის ოთახამდე მისული, იქვე გაქვავდა და ხმა ჩაუვარდა. ოთახში, რა თქმა უნდა, პირველი გრეტა შევიდა და გადაამოწმა, წესრიგში იყო თუ არა ყველაფერი. მას დედა მიჰყვა. გრეგორმა მოჭმუჭნული ზეწარი სიჩქარეში კიდევ უფრო დაბლა ჩამოქაჩა, ისე, რომ ახლა ზეწარი დივანზე შემთხვევით მიგდებული გეგონებოდათ. ამჯერად მას ზეწრის მიღმა თვალთვალი არ სურდა. იმითაც კმაყოფილი, რომ დედა, ბოლოს და ბოლოს ესტუმრა, მისი დანახვისგან თავს იკავებდა. „შემოდი, არ ჩანს," - თქვა დამ და აშკარად ხელჩაკიდებული შეუძღვა დედას ოთახში. გრეგორს ესმოდა, როგორ აწვებოდა ეს ორი სუსტი ქალი სკივრს. როგორ იტვირთა დამ ამ საქმის ძირითადი სიმძიმე, და როგორ არად აგდებდა ის დედის გაფრთხილებას, თავი არ გადაიტვირთოო. ეს საქმე აშკარად დიდ დროს მოითხოვდა. თხუთმეტწუთიანი წვალების შემდეგ დედამ შენიშნა, რომ, მისი აზრით, სკივრის ადგილზე დატოვება ჯობდა, რადგან დრო ძალიან ცოტა იყო და მამის მოსვლამდე მის გატანას ვერ შეძლებდნენ. შუა გზაში გახერგილი სკივრი კი ოთახს გადაუღობავდა გრეგორს. გარდა ამისა, დედა აღარ იყო დარწმუნებული, რომ გრეგორს ავეჯის გატანით მართლაც ასიამოვნებდნენ. ახლა ის სწორედ რომ პირიქით ფიქრობდა. თუკი ცარიელი კედელი მისთვის

გულისმომკვლელი იყო, ხომ შეიძლებოდა გრეგორსაც ივივე განცდა დაუფლებოდა? ამ ავეჯს ხომ გრეგორი წლების განმავლობაში შეთვისებოდა და საკსებით შესაძლებელი იყო, ცარიელ ოთახში მიტოვებულად ეგრძნო თავი. „და განა ასე არ არის?“ ჩურჩულით ამბობდა დედა, თითქოს არ სურს გრეგორის ყურამდე ბგერამაც რომ მიაღწიოსო (სიტყვების მნიშვნელობა რომ არ ესმოდა, ამაში დარწმუნებულიც იყო) – „განა ისე არ გამოდის, თითქოს ავეჯის გატანით ყველა იმედს ვიწურავთ გრეგორის გამოჯანმრთელებაზე და მას მხოლოდ თავისი თავის ანაბარადღა ვტოვებთ? მგონი უკეთესი იქნება, ოთახი იმ მდგომარეობაში დავტოვოთ, როგორშიც ის მანამდე იყო, რომ გრეგორს, როცა ის დაგვიბრუნდება, ყველაფერი უცვლელად დახვდეს და ამით დროის ეს მონაკვეთიც ადვილად გადაივიწყოს.“

დედის სიტყვების გაგონებაზე გრეგორმა აღმოაჩინა, რომ ადამიანური ურთიერთობისა და უშუალოდ თავის ოჯახთან კონტაქტის გაწყვეტამ, ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში, გონება სულ მთლად აურია. სხვანაირად აუხსნელი რჩებოდა, როგორ დაუშვა მანამდე ოთახის დაცარიელება. ნუთუ ნამდვილად სურდა ეს თბილი, ნაანდერძევი ავეჯით მყუდროდ მოწყობილი ოთახი დაეცალა და სოროდ ექცია? სოროდ, რომელშიც ყველა მიმართულებით არხეინად ცოცვას კი შეძლებდა, მაგრამ ადამიანურ წარსულს სრულიად გადაივიწყებდა? ახლაც ხომ ცოტა აკლდა დავიწყებას, მაგრამ დედის მონატრებულმა ხმამ დროულად გამოაფხიზლა. არაფერიც არ უნდა გაეტანათ. ყველაფერი უცვლელი უნდა დარჩენილიყო. ავეჯის დადებითი გავლენა აუცილებელი იყო მისი მდგომარეობისთვის და ავეჯს უგუნურ ცოცვაში ხელიც რომ შეეშალა, ეს ცუდს არაფერს მოუტანდა, პირიქით, სასარგებლოც კი შეიძლება ყოფილიყო.

მაგრამ გრეტა, სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობდა. ის, არც თუ უსაფუძვლოდ, მიეჩვია, გრეგორზე საუბრისას მშობლების წინააღმდეგ ამ საქმეში უფრო კარგად ჩახედულის პოზიცია დაეკავებინა. სწორედ ამიტომ, დედის ნათქვამმა ახლაც კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ არა მარტო სკივრი და საწერი მაგიდა (რის გატანაც თავდაპირველად ჰქონდა გადაწყვეტილი), არამედ დივანის გარდა ყველანაირი ავეჯი უნდა გაეტანათ ოთახიდან. ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბავშვური სიჯიუტითა და ბოლოდროინდელი, მოულოდნელი თავდაჯერებულობით გამოწვეული არ გახლდათ. გრეტა კარგად ხედავდა, რომ გრეგორს მართლაც სჭირდებოდა სივრცე ცოცვისთვის, ავეჯს კი უკვე აღარაფერში იყენებდა. აქ შესაძლოა გარკვეულწილად მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მეოცნებე ხასიათიც თამაშობდა დიდ როლს, რაც გრეტას აიძულებდა, ვითარება არსებულზე საშინლად წარმოედგინა, რათა შემდეგ უფრო დიდ მსხვერპლზე წასულიყო ძმის გამო. გაშიშვლებულ, გრეგორის მიერ დაპყრობილ ოთახში შესვლას ხომ, გრეტას გარდა, ვეღარავინ ბედავდა.

ამგვარად, გრეტა დედის რჩევების გამო თავის გადაწყვეტილებას არ გადათქვამდა. დაბნეული დედა კი, ოთახში უკვე დაუცველად გრძნობდა თავს, ამიტომ მალევე გაჩუმდა და შეძლებისდაგვარად დაეხმარა გრეტას სკივრის ოთახიდან გატანაში. გრეგორი სკივრს განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში კიდევ შეელეოდა, მაგრამ საწერი მაგიდა აუცილებლად უნდა შეენარჩუნებინა. ამიტომ, დატოვეს თუ არა ქალებმა სკივრიანად ოთახი, მან მაშინვე გამოყო თავი დივანის ქვეშიდან და გადაეწყვიტა, რაც შეიძლება მშვიდად და თავაზიანად ჩარეულიყო საქმეში. მაგრამ, საუბედუროდ, სანამ გარეთ მარტო დარჩენილი გრეტა ამაოდ ცდილობდა სკივრის გადაადგილებას, დედა გრეგორის ოთახში დაბრუნდა. ის არ იყო მიჩვეული გრეგორის გარეგნობას, რის გამოც, ადვილი შესაძლებელია, ცუდად გამხდარიყო, ამიტომ შეშინებული გრეგორი სასწრაფოდ უკან გაცოცდა და ამ სირბილში დივანის მეორე ბოლოში გადმოფარებული ზეწარი ოდნავ შეარხია. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დედას ყურადღება დაეძაბა. ის ერთხანს გაშეშებული იდგა ოთახში, შემდეგ კი გრეტასთან გაბრუნდა.

გრეგორი მუდმივად არწმუნებდა თავს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, მხოლოდ ავეჯი გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე. მიუხედავად ამისა, დივანის ქვეშ მოკუნტული, იატაკზე მიკრული გრეგორისთვის ქალების აქეთ-იქით სიარული, მათი მოკლე წამოძახილები, ავეჯის იატაკზე ხრიგინი უკვე იმხელა ალიაქოთად იქცა, რომ ამის ატანა აღარ შეეძლო. მისი ოთახი თანდათან ცარიელდებოდა. გაჰქონდათ ყველაფერი, რაც გრეგორისთვის ძვირფასი იყო. ხერხებითა და სხვა ხელსაწყოებით საავსე სკივრი უკვე წაეღოთ. ახლა თითქმის იატაკს შეზრდილ მაგიდას ეჯაჯგურებოდნენ, რომელზეც, ჯერ კიდევ სავაჭრო სკოლაში, შემდეგ კი სამოქალაქო და სახალხო სკოლაში სწავლის დროს გაკვეთილებს ამზადებდა. ახლა კი ნამდვილად აღარ ჰქონდა დრო ამ ორი ქალის კეთილი განზრახვების გადასამოწმებლად. სიმართლე ითქვას, ამ ქალების არსებობა აღარც ახსოვდა, რადგან დაღლილობის გამო ისინი უხმოდ მუშაობდნენ და მხოლოდ მათი მძიმე ნაბიჯების ხმაღა ისმოდა.

და იმ დროს, როცა ქალები გვერდით ოთახში საწერ მაგიდას ჩამოყრდნობილი ითქვამდნენ სულს, გრეგორი სამალავიდან გამოძვრა. დაბნეული ოთხივე მხარეს ეცა, აღარ იცოდა, პირველად რა გადაერჩინა. უცებ თვალში ბეწვის ქურქში გამოწყობილი ქალბატონის სურათი მოხვდა, რომელიც უკვე მოშიშვლებულ კედელზე ეკიდა. სასწრაფოდ გაცოცდა მისკენ და სურათის შუშას მთელი ტანით აკრული, მასზე დაეკიდა. გახურებული მუცლით შუშის ზედაპირზე შეხებამ სიამე მოჰგვარა. ამ სურათს, რომელზეც ის ახლა მთელი ტანით გაწოლილიყო, ცოცხალი თავით არავის დაუთმობდა. თავი სასტუმრო ოთახისკენ მიატრიალა

და ქალების დაბრუნებას დაელოდა.

ქალებმა დიდხანს არ დააყოვნეს და შემობრუნდნენ. გრეტას დედისთვის ხელი შემოეხვია და ლამის აყვანილი მოჰყავდა. „ახლა რა გავიტანოთ?“ - იკითხა მან და მიმოიხედა. კედელზე ჩამოკიდებული გრეგორის მზერა დისას შეეგება. გრეტამ, როგორც ჩანს დედის რიდით, თავი შეძლებისდაგვარად შეიკავა, დედისკენ დაიხარა და აცახცახებულმა, დაუფიქრებლად ჩაილაპარაკა: „ცოტა ხნით სასტუმრო ოთახში ხომ არ დავბრუნდეთ?“ გრეგორი მაშინვე მიუხვდა განზრახვას. გრეტას სურდა, დედა სამშვიდობოს გაეყვანა და შემდეგ გრეგორი კედლიდან ჩამოეგდო. მაგრამ აბა ეცადა და გაებედა! გრეგორი სურათზე იჯდა და უმალ სახეში ეცემოდა დას, ვიდრე სურათს დათმობდა.

მაგრამ გრეტას სიტყვებმა დედა შეაშფოთა. გვერდზე გამდგარმა, ყვავილებიან კედელზე უცებ ყავისფერი ლაქა შენიშნა, ხელები ფართოდ გაშალა და უცებ (გაუაზრებლად და ვარაუდით, რომ სწორედ ეს იყო გრეგორი) გამყინავი ხმით შესძახა: „ღმერთო! ღმერთო!“ ამ სიტყვებით დივანზე დაეცა და გაქვავდა. „ოხ, გრეგორ!“ - იყვირა მუშტმოღერებულმა გრეტამ და გრეგორს თვალები დაუბრიალა. ეს იყო მთელი ამ დროის განმავლობაში მისი პირველი სიტყვები ძმისადმი. გრეტა ოთახიდან გავარდა და ესენციის ძებნა დაიწყო, რათა გულწასული დედა როგორმე მოებრუნებინა. გრეგორმა დის დახმარება გადაწყვიტა (სურათი მოიცდიდა!), შუშაზე მტკიცედ მიკრულმა, თავი ძლივსძლიობით გაითავისუფლა და გრეტასკენ გაემართა, რათა როგორც ძველ დროს, რჩევები მიეცა დისთვის. რადგან სხვა არაფერი შეეძლო, უკან ამოუდგა დას, რომელიც ამ დროს წამლის შუშებში იქექებოდა და, უკან მობრუნებული, გრეგორის დანახვაზე ისე შეშინდა, რომ შუშა ხელიდან გაუვარდა. შუშის ნამსხვრევებმა გრეგორს სახე დაუზიანა, ზედ კი რაღაც საშინელი წამალი გადაესხა. გრეტამ აღარ დააყოვნა, რამდენიც შეძლო, იმდენი შუშა აიღო, დედასთან გაიქცა და კარი ფეხით მიხურა. ამგვარად გრეგორი თითქოს სამუდამოდ მოსწყდა დედას, რომელიც მისი მიზეზით სიკვდილის პირას იყო. თუ დის ოთახიდან გაგდება არ სურდა, კარი არაფრის დიდებით არ უნდა გაეღო. ისღა დარჩენოდა, მოთმინებით დალოდებოდა მოვლენების განვითარებას. სინანულისა და დანაშაულისაგან დამძიმებული ოთახში ცოცვას მოჰყვა. ცოცავდა ყველგან, სადაც ეს შესაძლებელი იყო - ავეჯზე, კედლებზე, ჭერზე, სანამ ბოლოს, თავბრუდასხმულმა, შუა მაგიდაზე არ მოადინა ზღართანი.

რამდენიმე ხანს საცოდავად იწვა მაგიდაზე. ირგვლივ სიჩუმე ჩამომდგარიყო, რაც, წესით, კარგის ნიშანი იყო. ამ დროს კარზე ზარი გაისმა. მოსამსახურე, რა თქმა უნდა, თავის ოთახში იყო შეკეტილი, ამიტომ კარი გრეტამ გააღო. მამა იყო. „რა მოხდა?“ იკითხა მან

მაშინვე, როგორც ჩანს, გრეტას სახის გამომეტყველებით დაეჭვებულმა. „დედა იყო უგონოდ, „ - უპასუხა გრეტამ ყრუდ და სახე მამის მკერდში ჩარგო. „ახლა უკეთაა. გრეგორი გამოვარდა.“ „ასეც ვიცოდი!“ - ჩაილაპარაკა მამამ - „ხომ ვამბობდი კიდეც, მაგრამ ქალებს არაფერი გესმით“. ნათელი იყო - მამამ გრეტას ეს მოკლე ჩვენება არასწორად გააანალიზა და ეგონა, გრეგორმა ძალას მიმართაო. ამიტომ გრეგორს ახლა უნდა ეცადა და რამე მოეფიქრებინა, რითაც მამის დამშვიდებას შეძლებდა, რადგან ყველაფრის ასახსნელად არც დრო ჰქონდა და, ცხადია, არც საშუალება. ამგვარად, ის სასწრაფოდ თავისი ოთახისკენ გაეშურა და კარს აეკრა, რათა წინა ოთახიდან შემოსული მამა მიეხვედრებინა, რომ ნებით დაბრუნდებოდა ოთახში და არ იყო საჭირო მისი გაგდება, რომ საკმარისი იყო, მისთვის მხოლოდ კარი გაეღოთ და მაშინვე გაუჩინარდებოდა.

მაგრამ მამა იმ ხასიათზე არ გახლდათ, ასეთი წვრილმანები შეემჩნია. „აჰ!“ აღმოხდა მას შემოსვლისას ისეთი ტონით, თითქოს გაბრაზდა და ამავდროულად გაიხარაო. გრეგორმა თავი კარს მოაშორა და მამას ახედა. ძნელი წარმოსადგენი იყო მამა ისეთი, როგორიც ის ახლა გრეგორის წინაშე აღმართულიყო. თუმცა, ბოლო დროს, ცოცვით გატაცების გამო, გრეგორი ძველებურად ვეღარ ადევნებდა თვალყურს ოჯახის ცხოვრებას, ამიტომ ცვლილებები არ უნდა გაჰკვირვებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუხედავად ყველაფრისა - ნუთუ ეს მამა იყო? მოხუცებული მამა, რომელიც ყოველთვის, როცა გრეგორი სამოგზაუროდ მიემგზავრებოდა, საწოლში განისვენებდა, დაღლილი. მამა, რომელიც ღამით შინ დაბრუნებულ გრეგორს პიჟამოში გამოწყობილი, საგარძელში ჩასვენებული ხვდებოდა, იქიდან წამოდგომა უჭირდა და გრეგორის დანახვისას მხოლოდ ხელებს აღმართავდა ხოლმე სიხარულის ნიშნად. ხოლო იშვიათი ოჯახური გასეირნებისას, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე, კვირადღეობით ან რომელიმე დღესასწაულზე ხდებოდა, თავის ძველ პალტოში გამოწყობილი, ყავარჯენს დაყრდნობილი, ხანდახან კიდეც ჩამორჩებოდა ხოლმე ისედაც ნელა მიმავალ გრეგორსა და დედას, რომლებსაც ის შუაში ჩაეყენებინათ. და თუ სათქმელი ჰქონდა რამე, იქვე ჩერდებოდა და უცდიდა, როდის შემოიკრიბებოდნენ მის გარშემო დანარჩენები. ახლა კი ის წელში გამართული და გამოწყობილი იდგა გრეგორის წინაშე. მუქი ლურჯი, ოქროსფერღილებიანი მუნდირი ეცვა. სწორედ ისეთი, როგორსაც ბანკის მოხელეები აგარებენ. მაღალ საყელოზე ორმაგი ღაბაბი გადმოჰვეცვოდა. გაბუჩქული წარბებიდან ცოცხალი შავი თვალები ყურადღებით უბრიალებდა. სხვა დროს აჩეჩილი თმა საგულდაგულოდ დაევარცხნა და გაეპოხა. ქუდი, რომელზეც, სავარაუდოდ, რომელიღაც ბანკის მონოგრამა იყო გამოსახული, მამამ მთელი ოთახის სიგრძეზე დივანისკენ მოისროლა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მუნდირის ბოლოების ფრიალით, მრისხანე სახით გაემართა

გრეგორისკენ. თვითონაც არ იცოდა, რას აპირებდა. სიარულისას ფეხებს უჩვეულოდ მაღლა წევდა. გრეგორი განაცვიფრა მისი ჩექმის უზარმაზარი ლანჩის დანახვამ, დიდხანს აღარ დააყოვნა (ამ ახალი ცხოვრების პირველივე დღეებიდანვე მიხვდა, რომ მამა მისადმი მხოლოდ უდიდეს სიმკაცრეს იჩენდა) და გაიქცა. გარბოდა მანამ, სანამ მამა მისდევდა. შემდეგ თვითონაც ჩერდებოდა მამასთან ერთად და ისევ გარბოდა, როგორც მამა ადგილიდან დაიძვრებოდა. ასე დაარტყეს ოთახს რამდენიმე წრე რაიმე განსაკუთრებული შემთხვევების გარეშე. დარბოდნენ საკმაოდ ნელა, ისე, რომ ამ ყოველივეს დევნას ვერც უწოდებდით. ამის გამო გრეგორი ჯერჯერობით მხოლოდ იატაკზე დარბოდა. კედლებზე ან ჭერზე აცოცება მამას, შესაძლოა, განსაკუთრებულ ბოროტებად მიეჩნია. თუმცა გრეგორი იმასაც გრძნობდა, რომ ვეღარც იატაკზე სირბილს გაუძლებდა დიდხანს. მამის ერთი ნაბიჯი ხომ გრეგორის უამრავ მოძრაობას უდრიდა. ჰაერი აშკარად აღარ ჰყოფნიდა, რაც არც იყო გასაკვირი - ფილტვები ყოველთვის სუსტი ჰქონდა. გონებამიხდილს, ისიც კი აღარ მოსდიოდა აზრად, რომ კედლებზე ცოცვაც შეეძლო. კედლები კი აქ, სხვათა შორის, კუთხეებიანი ავეჯით იყო სავსე.

და აი, მან, ძლივსღა მობარბაცემ, თვალებმიბნედილმა, გადაწყვიტა საბოლოო ძალები მოეკრიბა სირბილისთვის, რადგან სირბილი ერთადერთი გამოსავალი იყო. სწორედ ამ დროს გრეგორის თავთან რაღაც, სავარაუდოდ, შორიდან ნასროლი საგანი დავარდა და გაგორდა. ეს ვაშლი იყო. მას მალევე მოჰყვა მეორეც. გრეგორი შიშისგან ადგილზე გაქვავდა. სირბილს აზრი აღარ ჰქონდა. მამას მისი დაბომბვა განეზრახა, ბუფეტზე მდგარი სახილეედან ჯიბეები ვაშლით აევსო და მათ, არც თუ მიზანმიმართულად, ერთი მეორეს მიყოლებით, გრეგორს უშენდა. წითელი ვაშლები დამუხტულებივით ეხლებოდნენ ერთმანეთს და იატაკზე ცვიოდნენ. ერთი, შედარებით სუსტად ნასროლი ვაშლი გრეგორს ზურგში მოხვდა, მაგრამ არაფერი ავნო. სამაგიეროდ, მომდევნო, უფრო ძლიერად ნასროლმა ზურგი მაგრად ჩაუჭეჭყა. გრეგორმა ცოცვის გაგრძელება სცადა, თითქოს ადგილის შეცვლით მწვავე ტკივილის გაყუჩებას იმედოვნებდა. მაგრამ შეძრწუნებული და გონდაკარგული, თითქოს იატაკს მიაჭედესო, ადგილიდან ვერ დაიძრა. გონის დაკარგვამდე, მოასწრო და დაინახა, როგორ შემოგლიჯეს ოთახის კარი და როგორ შემოვარდა ოთახში დედა (რომელსაც უკან და მოსდევდა ყვირილით), პერანგისამარა (კაბა დას გაეხადა მისთვის, მოსულიერების დროს), როგორ ჩამოუცვივდა მას ტანიდან ერთმანეთის მიყოლებით გახსნილი ქვედატანები, როგორ გაეხლართა ისინი ფეხებში, როგორ მივარდა ის მამასთან, შემოეხვია და მასთან მთლიანად შერწყმულმა, მკლავებშემოხვეულმა, გრეგორისთვის სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა. მაგრამ ამას გრეგორი ძალიან ბუნდოვნადღა ხედავდა.

3.

ღრმა ჭრილობა გრეგორს თვეზე მეტხანს სტანჯავდა. ვაშლის მოძრობა ვერავინ გაბედა, ამიტომ ის სამუდამო სახსოვრად ჩარჩენილიყო გრეგორის სხეულში. ამ ჭრილობამ, როგორც ჩანს, მამაც კი გამოაფხიზლა და შეახსენა, რომ გრეგორი, მისი ახლანდელი ბეჩავი და საზიზღარი გამომეტყველების მიუხედავად, მაინც ოჯახის წევრი იყო, ამიტომ ის მტრად კი არ უნდა შეერაცხათ, არამედ ვალდებულნი იყვნენ, ეს ზიზღი როგორმე დაეძლიათ და მოთმინება გამოეჩინათ.

ჭრილობის წყალობით, გრეგორს, სავარაუდოდ, სწრაფად მოძრაობაზე სამუდამოდ უნდა ეთქვა უარი. ოთახის გადასაკვეთად მას ახლა, ბებერი ინვალიდივით, რამდენიმე უგრძელესი წუთი სჭირდებოდა, ხოლო ჭერზე ცოცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. სანაცვლოდ გრეგორმა, მისი აზრით, საკმარისი საზღაური მიიღო - სასტუმრო ოთახის კარს, რომელსაც ის ჯერ კიდევ ორი საათით ადრე უწყებდა თვალთვალს, საღამოობით აღებდნენ და სიბნელეში მწოლ გრეგორს (ისე, რომ გარედან მას ვერავინ ხედავდა) ახლა უფლება ჰქონდა, თავისუფლად ესმინა განათებულ სუფრასთან შემომსხდარი ოჯახის წევრების საუბრებისთვის.

რა თქმა უნდა, ეს აღარ იყო ის ძველებურად ხალისიანი საუბრები, რომლებიც მას ხშირად უნატრია ადრე, სასტუმროს პატარა ნომრებში, ნესტიან ლოგინზე მიგდებულს. ახლა ძირითადად დუმილს არჩევდნენ. მამას ვახშმის შემდეგ თავის სავარძელში ეძინებოდა. და და დედა ხმას არ იღებდნენ. დედა იჯდა, სინათლისკენ დახრილი და ტანსაცმლის მაღაზიისთვის თხელ თეთრეულს კერავდა. და, რომელსაც გამყიდველად დაეწყო მუშაობა, საღამოობით სტენოგრაფიასა და ფრანგულში მეცადინეობდა, რათა მოგვიანებით უკეთესი თანამდებობა მიეღო. მამა დროდადრო იღვიძებდა და თითქოს არც უძინიაო, დედას ეუბნებოდა: „უკვე რამდენი ხანია კერავ!“ შემდეგ კი ისევ იძინებდა, რაზეც დედა და და ღიმილით გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს.

მამა ჯიუტობდა და არც შინ იხდიდა მუნდირს. მისი ღამის ხალათი უქმად ეკიდა საკიდზე მაშინ, როცა მუნდირში გამოწყობილი მამა ადგილზე თვლემდა, თითქოს მუდამ მზადაა მოვალეობის აღსასრულებლად და ყოველ წუთს უფროსის ბრძანებას ელისო. ამის გამო, ისედაც გაცვეთილი მუნდირი, დედის და დის მზრუნველობის მიუხედავად, კიდევ უფრო გაცვდა და პენიც დაკარგა. გრეგორი ხშირად მთელი საღამოს განმავლობაში მიშტერებოდა ამ დალაქავებულ, მაგრამ საგულდაგულოდ გაკრიალებული ღილებით მოკაშკაშე სამოსს,

რომლის მოუხერხებლობის მიუხედავად, მასში გამოწყობილ მოხუცს მშვიდად ეძინა.

როგორც კი საათი ათს ჩამოჰკრავდა, დედა მამის გაღვიძებას და მის საწოლში გადასვლაზე დაყოლიებას ცდილობდა. მამა სამსახურს ექვს საათზე იწყებდა და ამიტომ გამოძინება სჭირდებოდა, სავარძელი კი საკმაოდ მოუხერხებელი იყო ამისთვის. მაგრამ მას შემდეგ, რაც სამსახური დაიწყო, მამას უცნაური სიჯიუტე დასჩემდა - სუფრასთან ყოველთვის გვიანობამდე რჩებოდა, იქვე იძინებდა და მისი ადგილიდან დასაძვრელად და სავარძლიდან საწოლში გადასაყვანად უდიდესი ძალისხმევა იყო საჭირო. დედა და და მონდომებით ცდილობდნენ მის დაყოლიებას, მაგრამ ის თხუთმეტი წუთის განმავლობაში მხოლოდ თავს უქნევდა, თვალდახუჭული იჯდა და ადგომაზე არ ფიქრობდა. დედა მას სახელოზე ექაჩებოდა, ალერსიან სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. და თავის საქმეს თავს ანებებდა და დედის დასახმარებლად მოდიოდა, მაგრამ მამასთან არაფერი ჭრიდა. უფრო ღრმად ეფლობოდა ძილში. ამ დროს ქალები მას ორივე მხრიდან მხრებში ამოუდგებოდნენ და მამაც თვალებს ახელდა, მონაცვლეობით გადახედავდა დას და დედას და ამბობდა: „ესეც ჩემი ცხოვრება და მშვიდი სიბერე." ქალებზე ჩამოყრდნობილი, ის ძლივსძლივობით დგებოდა და მათი დახმარებით მიდიოდა კარამდე, თითქოს თავისი ტანი თვითონვე უმძიმსო. კარამდე მისული კი თავს უკრავდა დამშვიდობების ნიშნად და დამოუკიდებლად აგრძელებდა სიარულს. დედა და და კი სასწრაფოდ დებდნენ თავთავიანთ საკერავს და საწერს და მამის დასახმარებლად გარბოდნენ.

ვიღას ეცალა ამ გადატვირთულ და გადაქანცულ ოჯახში, რომ გრეგორისთვის უფრო მეტი დრო დაეთმო, ვიდრე ამას აუცილებლობა ითხოვდა? საოჯახო ხარჯები სულ უფრო შეამცირეს. ბოლოს და ბოლოს მოსამსახურე დაითხოვეს. დილა-საღამოს მოდიოდა უზარმაზარი, კარგად ჩადგმული, ჭაღარა, თმაგაჩეჩილი ქალი და გრეტას მძიმე საქმეებში ეხმარებოდა. დანარჩენს დედა აგვარებდა საკერავის პარალელურად. ამასთანავე, მოუწიათ და გაყიდეს რამდენიმე ოჯახური სამკაული, რომელსაც დედა და და დღესასწაულებსა და წვეულებებზე დიდი სიხარულით ატარებდნენ ხოლმე. ამის შესახებ გრეგორმა იმ საღამოს შეიტყო, როცა ოჯახი მიღებულ თანხაზე საუბრობდა. ყველაზე ხშირად კი იმაზე ბჭობდნენ, რომ ამჟამინდელი პირობების გათვალისწინებით ამ, მართლაც რომ საჭიროზე დიდი ბინის გამოცვლა არ ხერხდებოდა, რადგან გრეგორის გადაადგილების საკითხი ვერ გადაეწყვიტათ. თუმცა გრეგორი გრძნობდა, რომ მიზეზი მხოლოდ ეს არ იყო. მისი გადაყვანა ხომ ჩვეულებრივი, საჰაეროებიანი ყუთით სრულიად ადვილად იყო შესაძლებელი. ბინის გამოცვლის უმთავრესი მიზეზი ოჯახის სრული უიმედობა გახლდათ და აჩემებული აზრი იმის შესახებ, რომ მსგავსი უბედურება მათ სანათესაოსა თუ სამეგობროში არავის არასდროს

გადახდენოდა. ღარიბი ხალხის პირობაზე ოჯახი ძალისხმევას არ იშურებდა - მამა საუზმეს დაატარებდა ბანკის თანამშრომლებისთვის, დედა სხვების თეთრეულს სწირავდა თავს და კლიენტების სურვილების შესასრულებლად დახლს მიღმა აქეთ-იქით დარბოდა, მეტის მიღწევა მათ ძალებს აღემატებოდა. გრეგორს თითქოს ჭრილობა უახლდებოდა, როცა მამის ოთახიდან დაბრუნებული დედა და და თავიანთ საქმეს გვერდზე დებდნენ და ერთმანეთზე თავმიყრდნობილნი, გვერდიგვერდ სხდებოდნენ. შემდეგ კი დედა, გრეგორის ოთახზე მინიშნებით, გრეტას ეუბნებოდა: „ის კარი დახურე, გრეტა," და ისევ სიბნელეში დარჩენილ გრეგორს ესმოდა, როგორ იწმენდნენ ქალები ცრემლებს, ანდა უცრემლოდ ისხდნენ, მაგიდას მიჩერებულნი.

დღეები და ღამეები უძილოდ გადიოდა. ხანდახან გრეგორს ეძალებოდა სურვილი, კარი გაეღო და ოჯახზე ზრუნვის სადავეები ისევ თვითონ აეღო ხელში. დიდი ხნის შემდეგ მის ფიქრებში ისევ გამოკრთებოდნენ ხოლმე შეფი და მმართველი, კომოვოიაჟერი და შეგირდი ბიჭები, სულელი შინამოსამსახურე, რამდენიმე მეგობარი სხვა ფირმებიდან, დამლაგებელი გოგო ერთი პროვინციული სასტუმროდან - სასიამოვნო, წამიერი მოგონება, მოლარე ქუდების მაღაზიიდან, რომლის თაყვანისმცემლადაც გრეგორი დიდხანს დარჩა. ყველა ეს ადამიანი სხვა, სრულიად უცნობ თუ უკვე დავიწყებულ ხალხთან ერთად ახლა გონებაში უტივტივებდა, მაგრამ მისი და მისი ოჯახის დახმარების ნაცვლად, ისინი სრულიად მიუწვდომელნი იყვნენ და გრეგორს ბედნიერების შეგრძნება დაეუფლა, როცა ისინი მეხსიერებიდან გაქრნენ. შემდეგ მან ისევ დაკარგა სურვილი, ოჯახზე ეზრუნა, ბრაზი ერეოდა იმის გამო, რომ ცუდად უვლიდნენ და, უმადობის და რაიმეს განსაკუთრებული სურვილის მიუხედავად, საკუჭნაოში შეღწევის გეგმებს აწყობდა, რომ იქიდან გამოეზიდა ყველაფერი, რაც, მიუხედავად ამ უმადობისა, მას ეკუთვნოდა. გრეტა გრეგორის კვებაზე ფიქრით თავს დიდად აღარ იწუხებდა. დილას და შუადღით, მაღაზიაში წასვლამდე, ის ოთახში ფეხით აცურებდა რაიმე საჭმელს, რომ საღამოობით, იმის მიუხედავად, ჭამა თუ არ ჭამა (რაც სულ უფრო ხშირად ხდებოდა) გრეგორმა ეს საჭმელი, ცოცხის ერთი მოსმით ისევ გაეხვეტა ოთახიდან. დალაგებით ის ახლა მხოლოდ საღამოობით, და ისიც რაც შეიძლება სწრაფად და ზერელედ, ალაგებდა ოთახს. ჭუჭყი უკვე ზოლებად გასდევდა მთელ კედლებს, ყველგან მტვრის და ნაგვის გროვები იდგა. პირველ ხანებში დის შემოსვლისას გრეგორი განსაკუთრებულად მოუვლელ კუთხეს არჩევდა და სწორედ იქ ხვდებოდა დას, თითქოს ასეთნაირად საყვედურის გამოხატვა სურსო. მაგრამ კვირების მანძილზეც რომ მდგარიყო ასე, დას ამით ვერ გამოასწორებდა. გრეტა ხომ თვითონაც კარგად ამჩნევდა ჭუჭყს, მაგრამ შეგნებულად არ წმენდდა იქაურობას. ამასთანავე, განსაკუთრებული თავნებობის გამო,

რომელიც მას ადრე არ ახასიათებდა და რომელითაც ახლა მთელი ოჯახის მოგერიება შეძლო, გრეტას ძმის ოთახის დალაგება მხოლოდ თავის გასაკეთებელ საქმედ მიაჩნდა. ერთხელ გრეგორის ოთახი დედამ დაასუფთავა საგულდაგულოდ, რისთვისაც მას რამდენიმე სათლი წყალი დასჭირდა. ოთახში დარჩენილმა ნესტმა გრეგორს მეტად ავნო (გამწარებული დივანზე გაწვა და გაშეშდა), დედა კი თავისი საქციელის გამო მძიმედ დაისაჯა - ძმის ოთახში ცვლილების შემჩნევისთანავე, ღრმად შეურაცხყოფილი გრეტა მაშინვე სასტუმრო ოთახში გავარდა და, დედის მუდარის მიუხედავად, ხმამაღლა აქვითინდა. ამ ამბავმა მშობლები მეტად უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო. მამა სავარძლიდან წამოხტა, ჯერ გრეტას მიაჩერდა, მერე დედა აავსო საყვედურებით იმის გამო, რომ ის გრეტას გრეგორის ოთახის დალაგებაში შეეცილა. აქეთ გრეტა გაჰყვიროდა, აღარასდროს დავალაგებ იმ ოთახსო. სანამ დედა აღგზნებულ და მდგომარეობიდან გამოსულ მამას საძინებლისკენ ექაჩებოდა, ასლუკუნებული გრეტა კი პატარა მუშტებს მაგიდაზე აბრახუნებდა, გრეგორი თავის ოთახში სიბრაზისგან ხვნეშოდა, გამწარებული იმის გამო, რომ არავის მოუვიდა თავში მისი ოთახის კარი დაეხურა და მისთვის ეს აყალმაყალი აეცილებინა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სამსახურით გადაღლილ გრეტას ძმის ძველებურად მოვლა ყელში ჰქონდა ამოსული, დედას კი მის ოთახში შესვლა აეკრძალა, გრეგორი ყურადღების გარეშე მაინც არ დარჩენილა. ახლა მოსამსახურის ჯერი დადგა. ეს ბებერი ქვრივი, რომელსაც, თავის ძლიერი მხრების წყალობით, როგორც ჩანს, უმძიმესი ამბები გადაეტანა, გრეგორის მიმართ რაიმე განსაკუთრებულ ზიზღს არ გამოხატავდა. ერთხელ, ყოველგვარი ცნობისმოყვარეობის გარეშე, მან გრეგორის ოთახის კარი გამოაღო. შეშინებული გრეგორი, მოულოდნელობისაგან (თუმცა არავინ ერჩოდა) აქეთ-იქით ეცა. ქალმა ხელები კალთაზე შემოიწყო და გახევდა. ამის შემდეგ ის ყოველ დილას აუცილებლად აღებდა კარს და ოთახში იხედებოდა. თავიდან, თავისი აზრით, საალერსო სიტყვებითაც მიმართავდა გრეგორს, როცა თავისთან ასე უხმობდა: „მოდი ჩემთან, ბებერო ნეხვის ჭიავ," ან „ერთი ამ ნეხვის ჭიას დამიხედეთ." ასეთი მოხმობების საპასუხოდ გრეგორი ადგილიდან არ იძვროდა, თითქოს კარი საერთოდაც არ გაუღიათო. ნეტა ვინმეს გრეგორის გაღიზიანების ნაცვლად მისთვის ოთახის დალაგება დაევალებინა. ერთხელ, დილაადრიან, ფანჯრის მინებზე ძლიერი წვიმა ახმაურდა. ეს, სავარაუდოდ, გაზაფხულის მოახლოების მაუწყებელი იყო. ჰოდა, ამ წვიმიან დილას, მოსამსახურე ისევ შემოვიდა გრეგორის ოთახში და, ჩვეულებისამებრ, მის გაღიზიანებას მოჰყვა. ამისგან გამწარებული გრეგორი, თითქოს მასზე თავდასასხმელად, თუმცა მაინც ფრთხილად და გაუბედავად, მოსამსახურისკენ შეტრიალდა. ეს უკანასკნელი, იმის ნაცვლად, რომ შეშინებულიყო, იქვე მდგარ სკამს დასწვდა, ჰაერში აიტაცა და ამასთანავე

პირი ისე დააღო, რომ ნათელი გახდა - მის დამუწვას მანამდე არ აპირებდა, სანამ იმ სკამს გრეგორის ზურგზე არ დაუშვებდა. „რაო, არ გამოგივიდა?“ - მიაძახა მან უკან მიტრიალებულ გრეგორს და სკამი კუთხეში მშვიდად დადო.

გრეგორი უკვე თითქმის აღარაფერს ჭამდა. მხოლოდ მაშინ, როცა გამზადებული საჭმლის გვერდით ჩავლა უნევდა, ლუკმას გასართობად იდებდა პირში, შემდეგ საათობით ღეჭავდა და უკანვე აფურთხებდა. თავიდან ეგონა, რომ ეს უმადობა ოთახის ახლანდელ სახეზე დარდით იყო გამოწვეული. მაგრამ ოთახის ცვლილებებს ხომ ის ძალიან მალე შეეგუა. არასაჭირო ნივთების ამ ოთახში შემოზიდვა ოჯახში წესად იქცა. ასეთი ნივთები უამრავი იყო, რადგან ბინის ერთი ოთახი ახლა მდგმურებისთვის დაეთმოთ. ეს სერიოზული ბატონები (სამივე მათგანი, როგორც გრეგორმა კარის ჭუჭრუტანიდან შენიშნა, წვერს ატარებდა) პედანტურად წესრიგისმოყვარულები იყვნენ და არა მხოლოდ თავიანთ ოთახში, არამედ მთელ სახლში (და განსაკუთრებით სამზარეულოში) სრულ წესრიგს ითხოვდნენ. ორგანულად ვერ იტანდნენ გამოუსადეგარ და, მით უმეტეს, ბინძურ ხარახურას. გარდა ამისა, ავეჯი ნაწილობრივ თავად მოიტანეს. ამიტომ ბევრი ნივთი საჭირო აღარ გახდა. მათი არც გაყიდვა ხერხდებოდა და გადასაყრელადაც ვერავინ იმეტებდა. ამ ნივთებმა (მათ შორის იყო სამზარეულოდან გამოზიდული ნაცრისა და ნაგვის ყუთებიც) გრეგორის ოთახში გადაინაცვლა. მოკლედ, ყველაფერს, რაც იმ მომენტში გამოუსადეგარი იყო, მუდამ აჩქარებული მოსამსახურე გრეგორის ოთახში მიათრევდა. ამ დროს გრეგორი, საბედნიეროდ, მხოლოდ მის ხელსა და იმ ნივთს ხედავდა, რაც მას ოთახში შემოჰქონდა. იქნებ მოსამსახურეს ოდესმე ამ ნივთების უკან გატანა, ან ყველაფრის ერთი ხელის მოსმით გადაყრაც კი ჰქონდა განზრახული, მანამდე კი ისინი იქ რჩებოდნენ, სადაც მათ მოსამსახურე მიაგდებდა, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ხარახურას მცოცავი გრეგორი არ წამოედებოდა შემთხვევით. ამ დროს ის ადგილს უცვლიდა ნივთებს. თავიდან იძულებით, რადგან ცოცვისთვის სივრცე სჭირდებოდა, შემდეგ კი სიამოვნებით მიჰყვა ამ საქმეს. თუმცა, ამგვარი ვოიაჟების შემდეგ, სიკვდილამდე დაღლილსა და მოწყენილს, განძრევის თავიც აღარ ჰქონდა ხოლმე.

რადგან მდგმურები ხანდახან სასტუმრო ოთახში ვახშმობდნენ, სასტუმრო ოთახის კარი საღამოობითაც დაკეტილი რჩებოდა, მაგრამ გრეგორს ეს უკვე თითქმის აღარ აწუხებდა. ის ხომ ბოლო დროს ისედაც აღარ იყენებდა ღია კარს და საღამოობით, ყველასთვის შეუმჩნევლად, თავისი ოთახის ყველაზე ბნელ კუთხეში იწვა. ერთხელ მოსამსახურემ სასტუმრო ოთახის კარი თავისდაუნებურად გამოღებული დატოვა. კარი მაშინაც ღია იყო, როცა მდგმურები სავახშმოდ ოთახში შევიდნენ და სინათლე აანთეს. ისინი მიუსხდნენ

სუფრას, სწორედ ისე, როგორც ადრე მამა, დედა და გრეგორი სხდებოდნენ ხოლმე სავახშმოდ, ხელსახოცები გაშალეს და დანა-ჩანგალი მოიმარჯვეს. ამ დროს ოთახში დედაც გამოჩნდა, რომელმაც ლანგრით ხორცი შემოიტანა. მას გრეტა მიჰყვა კარტოფილით სავსე ჯამით ხელში. საჭმელს ცხელი ორთქლი ასდიოდა. მდგმურები მათ წინ დადგმული ლანგრებისკენ დაიხარნენ, თითქოს ჭამის დაწყებამდე საჭმლის შემოწმებას აპირებენო. ერთ-ერთმა, რომელიც შუაში იჯდა და, როგორც ჩანს, დანარჩენებში ავტორიტეტით სარგებლობდა, მართლაც ჩამოჭრა ლანგარზე ხორცის ნაჭერი იმის დასადგენად - ნამდვილად მოხარშული იყო ხორცი თუ მისი სამზარეულოში გაბრუნება იყო საჭირო. მას შემდეგ, რაც ბატონს სახეზე კმაყოფილება შეეტყო, დედამ და დამ შვებით ამოისუნთქეს და გაიღიმეს.

თავად ოჯახი სამზარეულოში მიირთმევდა. მიუხედავად ამისა, სამზარეულოში გასვლამდე მამა სასტუმრო ოთახში შევიდა, ბატონებს თავი დაუკრა და ქუდით ხელში სუფრას შემოუარა. მდგმურები ერთდროულად წამოდგნენ და რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნეს. მარტოდარჩენილები მაშინვე უხმოდ და უსიტყვოდ შეუდგნენ ჭამას. გრეგორს უცნაურად მოეჩვენა ის ფაქტი, რომ ვახშმობის ამ ხმაურიანი პროცესის დროს მას მხოლოდ კბილებით ღეჭვის ხმა ესმოდა. ამით ისინი თითქოს გრეგორს ანიშნებდნენ, თუ რა მნიშვნელოვანი იყო კბილები ჭამისთვის და რომ ყველაზე მშვენიერი ხახაც კი, კბილების გარეშე, არაფრად ვარგოდა. „მადაზე მოვედი," - ჩაილაპარაკა გრეგორმა, „რამეს შევჭამდი, ოღონდ არა იმას, რასაც ესენი ჭამენ. როგორ გემრიელად ილუკმებიან მაშინ, როცა მე აქ ვკვდები!"

სწორედ ამ საღამოს (გრეგორს ამ ხნის განმავლობაში აქამდე არასდროს გაუგია ვიოლინოს ხმა) სამზარეულოში ვიღაცამ დაკვრა დაიწყო. მდგმურებს ვახშამი მოეთავებინათ. შუათანას გაზეთი გაეშალა, თითო გვერდი დანარჩენებისთვის დაერიგებინა და ახლა ყველა ასე, გაზეთმომარჯვებული იჯდა და ეწეოდა. მუსიკის გაგონებაზე ყურები დაცქვიტეს, კართან ფეხაკრეფით მივიდნენ და გაიყურსნენ. სამზარეულოში, როგორც ჩანს, გაიგეს მდგმურების ახმაურება, რადგან იქიდან მამამ დაიძახა: „მუსიკა ხელს ხომ არ შეუშლით ბატონებს? თუ საჭიროა, ახლავე გავაჩუმებ".

„პირიქით," - გამოეპასუხა შუათანა მდგმური - „ხომ არ ინებებს ქალიშვილი ჩვენთან შემოსვლას და აქ დაკვრას, ეს ოთახი ხომ გაცილებით მოხერხებული და მყუდროა." „ო, რა თქმა უნდა," წამოიძახა მამამ, თითქოს თვითონ ყოფილიყო მევიოლინე. მდგმურები ოთახში შებრუნდნენ და ლოდინი დაიწყეს. ცოტა ხანში შემოვიდა მამა პიუპიტრით ხელში. დედამ

ნოტები, დამ კი ვიოლინო შემოიტანა. გრეტა დასაკრავად მოემზადა. მშობლებს, რომლებსაც აქამდე არასდროს გაექირავებინათ ოთახი და ზედმეტი თავაზიანობით ეპყრობოდნენ მდგმურებს, საკუთარ სავარძლებში დაჯდომა ვერ გაებედათ. მამა კარს მიეყრდნო და მარჯვენა ხელი შეკრული ლივრეის ღილებს შორის გაუყარა. დედამ ერთ- ერთი მდგმურის მიერ შეთავაზებული სკამი იქვე დატოვა, სადაც ის მდგმურმა შემთხვევით დადო, თვითონ კი მოშორებით, კუთხეში ჩამოჯდა.

გრეტამ დაკვრა დაიწყო. მშობლები, თავის მხრივ, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მისი ხელების მოძრაობას. მუსიკით მოხიბლულმა გრეგორმა გაბედა და ოდნავ წინ წაიწია. ახლა ის თავით თითქმის სასტუმრო ოთახში იყო გასული. თავადაც უკვირდა ის ამბავი, რომ ბოლო დროს საერთოდ აღარ ჰქონდა მორიდება სხვების მიმართ. ადრე ხომ ამაყობდა თავისი მორიდებულობით. არადა, რიდი სწორედ ახლა იყო საჭირო, როცა მისი ოთახი მტვრით სავსე, თვითონ კი მთლიანად მტვერში იყო ამოვლებული. ზურგით და გვერდებით თმებს, ძაფებსა და საჭმლის ნარჩენებს დაათრევდა აქეთ-იქით. მისი გულგრილობა ყველას მიმართ ზედმეტად დიდი იყო იმისთვის, რომ როგორც ადრე, დღეში რამდენჯერმე ზურგით ხალიჩას გახახუნებოდა ჭუჭყის მოსაშორებლად. ასეთი მდგომარეობაში მყოფი, ყოველგვარი სირცხვილის გრძნობის გარეშე, გრეგორი სასტუმრო ოთახში გავიდა და მოპრიალებულ იატაკზე დადგა.

სხვათა შორის, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მთელი ოჯახი ვიოლინოს ხმას დაეტყვევებინა. მდგმურებს ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყოთ, დასთან ძალიან ახლოს, პიუპიტრის უკან დამდგარიყვნენ, რომ ნოტებში ჩახედვის საშუალება ჰქონოდათ, რაც დისთვის უთუოდ უხერხულობას ქმნიდა. უცებ მათ ერთმანეთს ხმადაბლა გადაულაპარაკეს და თავჩახრილებმა ფანჯრისკენ დაიწყეს დახევა. მამის დაკვირვებულმა მზერამ ფანჯრის მიმართულებით გადაინაცვლა. ისე ჩანდა, თითქოს კარგი მუსიკის მოსმენის იმედი გაუწბილდათ, მთელი ეს სპექტაკლი მობეზრდათ და ახლა ზრდილობის გამოღა იწუხებენ თავს აქ დგომითო. ცხვირის ნესტოებიდან და პირიდან სიგარის ბოლის გამოშვების მანერა კიდევ უფრო აშკარას ხდიდა მათ ნერვიულ უკმაყოფილებას. არადა, გრეტა ისე მშვენივრად უკრავდა! სახით ფურცლისკენ დახრილი, სევდიანად და ყურადღებით ადევნებდა თვალს ნოტებს. გრეგორმა კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ და თავი იატაკზე ჩამოდო, რათა როგორმე დის მზერა დაეჭირა. ნუთუ მართლა ცხოველი იყო, თუკი მუსიკა ასე აღელვებდა? მოეჩვენა, თითქოს უჩინარი, სანატრელი კერძისკენ გაეხსნა გზა. მყარად გადაწყვიტა, როგორმე გრეტამდე მიეღწია, კაბაზე მოექაჩა და ასეთნაირად ენიშნებინა მისთვის, გრეგორის ოთახში გასულიყო, რადგან აქ ვერავინ აფასებდა მის დაკრულს ისე, როგორც ის, გრეგორი.

გადაწყვიტა, სანამ ცოცხალი იყო, და თავისი ოთახიდან აღარ გამოეშვა. პირველად სწორედ ახლა გამოიყენებდა თავის საზარელ გარეგნობას. მას უნდოდა, თავისი ოთახის ყველა კართან დამდგარიყო და ყველა, ვინც მათთან მოახლოებას გაბედავდა, შიშინით შეეშინებინა. მაგრამ და არა იძულებით, არამედ ნებით უნდა დარჩენილიყო მასთან. გვერდით მისჯდომოდა დივანზე, ყური მიეგდო მისთვის, რათა გრეგორს გაემხილა, რომ მყარად ჰქონდა განზრახული მისი კონსერვატორიაში გაგზავნა და ეს საშინელი შემთხვევა რომ არა, ჯერ კიდევ გასულ შობას (შობა ხომ სავარაუდოდ უკვე გასული იყო) გამოუცხადებდა ამ ამბავს ოჯახს, ისე, რომ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ დაუდგებოდა წინ. ამ სიტყვებით გულაჩუყებული და ალბათ ატირდებოდა. მის მხართან მიჩოჩებული გრეგორი კი მას ყელში აკოცებდა. ყელში, რომელსაც გრეტა, მუშაობის დაწყების შემდეგ აღარც საყელოთი და აღარც ბაფთებით აღარ იკრავდა.

„ბატონო ზამზა!“ - დაიყვირა შუათანა მდგმურმა და ისე, რომ წამიც არ დაუკარგავს, საჩვენებელი თითი მათკენ ნელა მომავალი გრეგორისკენ გაიშვირა. ვიოლინოს ხმა შეწყდა. მდგმურმა თავი გადააქნია და დანარჩენ ორს გაუღიმა, შემდეგ ისევ გრეგორს გახედა. სანამ გრეგორს ოთახიდან გააგდებდა, მამამ საჭიროდ ჩათვალა, ჯერ მდგმურები დაემშვიდებინა, თუმცა მათ აღელვება არც ეტყობოდათ და, ვიოლინოს ნაცვლად, აშკარად გრეგორით იქცევდნენ თავს. მამა მათკენ გავარდა, ფართოდ გაშლილი მხრებით გადაეფარა მდგმურებს და ასეთნაირად შეეცადა ისინი თავიანთ ოთახში შეედენა და, ამავდროულად, სხეულით გრეგორს ჩამოფარებოდა. მდგმურებს ახლა კი დაეტყოთ გაბრაზება. გაუგებარი კი იყო, რა აბრაზებდათ - მამის ასეთი საქციელი თუ ის, რომ თურმე ამდენ ხანს გრეგორისნაირი მეზობლის გვერდით ცხოვრობდნენ. მათ მამისგან ახსნა-განმარტების მოთხოვნა დაიწყეს, ხელებს შლიდნენ, წვერს იგლეჯდნენ და თავიანთი ოთახებისკენ ძალიან ნელა მიიწევდნენ. ამასობაში დამ დაძლია დაბნეულობა, რომელიც მას შემდეგ დაუფლებოდა, რაც დაკვრა უცაბედად შეაწყვეტინეს. ერთხანს ჩუმად იდგა, ვიოლინო და ხემი უღონოდ ჩამოეშვა დაბლა. თითქოს დაკვრის გაგრძელებას აპირებსო, ნოტებს ჩასჩერებოდა. შემდეგ უეცრად გამოერკვა, ინსტრუმენტი დედას ჩაუდო კალთაში (დედა ჯერ ისევ თავის სკამზე იჯდა და ასთმის შეტევას ებრძოდა) და გვერდით ოთახისკენ გაიქცა, რომელსაც მამის ძალისხმევის შედეგად მდგმურები თანდათან მიუახლოვდნენ. გარედან კარგად ჩანდა, როგორ სწრაფად აფრიალებდნენ და ასწორებდნენ თეთრეულს დის გამოცდილი ხელები. მან ლოგინების გაწყობა მდგმურების შესვლამდე მოასწრო და ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან. მამას, თავისი სიჯიუტით შეპყრობილს, საერთოდ დავიწყებოდა პატივისცემა, რომელიც მას ასე თუ ისე მართებდა მდგმურების მიმართ. თავდავიწყებით დევნიდა მდგმურებს ოთახისკენ, სანამ

შუათანა უკვე ოთახის შესასვლელთან არ შედგა, ფეხი მრისხანედ დააბრახუნა იატაკზე და მამა გამოაფხიზლა. „ნება მომეცით, მოგახსენოთ," გამოაცხადა მან და თვალებით დას და დედას დაუწყო ძებნა, „რომ მე, ამ ოჯახში და ამ ბინაში გამეფებული საზარელი ვითარების გამო," - აქ მან იატაკზე დააფურთხა - „გადაჭრით უარს ვაცხადებ ოთახზე. რა თქმა უნდა, გროშსაც არ გადავიხდი იმ დღეებისას, რაც აქ ვიცხოვრე. ეგ კი არა და, მგონი სხვა, სრულიად საფუძვლიანი პრეტენზიების წაყენებაც მომიწევს თქვენთვის." ამ სიტყვების შემდეგ ის ჩაცხრა და თითქოს რაღაცას ელოდებაო, წინ დაიწყო ყურება. მისმა ორმა მეგობარმა მართლაც არ დააყოვნა. „ჩვენც გადაჭრით უარს ვამბობთ ოთახზე," - გამოაცხადეს მათ. ამის შემდეგ შუათანამ სახელურს ხელი ჩაავლო და კარი ხმაურით გაიჯახუნა.

მამა ხელების ცეცებით წაბარბაცდა თავისი სავარძლისკენ და მასში ჩაესვენა, თითქოს ჩვეულებისამებრ ჩასათვლემად ემზადებაო. მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ სწრაფად და დაუმორჩილებლად აქნევდა თავს, აშკარა იყო - მამას არ ეძინა. გრეგორი უხმოდ იწვა იმ ადგილას, სადაც მას მდგმურებმა წაასწრეს. დასახული გეგმის ჩაშლის გამო გაწბილებული და შიმშილისგან დასუსტებული, მოძრაობისთვის ძალებს ვეღარ იკრებდა. ის გრძნობდა - სულ მალე საყოველთაო რისხვა უნდა დასტყდომოდა. და ელოდა. მისი სიმშვიდე ვერ შეაკრთო ვერც ვიოლინომ, რომელიც დედას აკანკალებული თითებიდან გაუსხლტა და რომელმაც გამაყრუებლად გაიჟღრიალა ოთახში.

„ძვირფასო მშობლებო," - დაიწყო უცებ დამ და ყურადღება რომ მიექცია, ხელით მაგიდაზე დააბრახუნა - „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. თქვენი არ ვიცი, მე კი უკვე დარწმუნებული ვარ ამაში. არ მსურს ამ ურჩხულის წინაშე ჩემი ძმის სახელის ხსენება. ერთს ვიტყვი მხოლოდ - მისი მოშორება უნდა ვცადოთ. ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც ადამიანებს ძალუძთ. ჩვენ ვუვლიდით მას და ვითმენდით, როგორც შეგვეძლო. საყვედურს ვერავინ გვეტყვის."

„ცამდე მართალია," - ჩაილაპარაკა მამამ. დედამ, რომელსაც ჯერ ისევ უჭირდა სუნთქვა, პირზე ხელი აიფარა და ამღვრეული გამომეტყველებით, ხველა ატეხა.

დამ დედასთან მიირბინა და შუბლზე ხელისგული ააფარა. მამა დის სიტყვებმა თითქოს რაღაც კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მიიყვანეს. ის სავარძელში გაიმართა და მაგიდაზე, თეფშებს შორის, რომლებიც ვახშმის შემდეგ ეწყო იქ, ქუდით თამაშს მოჰყვა. შიგადაშიგ გაყურსული გრეგორისკენ აპარებდა თვალს.

„უნდა მოვიშოროთ," - ახლა პირდაპირ მამას მიმართა დამ, რადგან დედას ხველების

გამო არაფერი ესმოდა. „ვგრძნობ, ის ორივეს ბოლოს მოგიღებთ. როდესაც ადამიანს იმდენი შრომა უწევს ყოველდღიურად, როგორც ჩვენ, სახლშიც ასეთი ტანჯვის აგანა მეტისმეტია. მეც აღარ შემიძლია ამის გაძლება," - დაამთავრა დამ და ღრიალი მორთო. მისი ცრემლები დედას სახეზე ეწვეთებოდა და გრეტა ხელის მექანიკური მოძრაობით წმენდდა მათ.

„შვილო," - თანაგრძნობითა და გაგებით მიმართა მამამ, - „კი მაგრამ, რა უნდა ვქნათ?"

და მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა დაბნეულობის ნიშნად, რაც მას ტირილის დროს, თავდაპირველი თავდაჯერებულობის სანაცვლოდ დაუფლებოდა.

„რომ ესმოდეს მაინც," - თქვა მამამ ნახევრად გამომცდელად, რაზეც დამ ტირილით გააქნია ხელი, ნიშნად იმისა, რომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

„ჩვენი რომ ესმოდეს," - გაიმეორა მამამ და თვალები დახუჭა, რითაც შინაგანად დის უიმედობას დაეთანხმა - „იქნებ მოგვეხერხებინა კიდეც მასთან შეთანხმება, მაგრამ ასე..."

„უნდა მოშორდეს აქაურობას!" - იყვირა დამ - „ეს ერთადერთი გამოსავალია, მამა. უნდა დაივიწყო აზრი, რომ ის გრეგორია. მთელი ჩვენი უბედურებაც ხომ ეგ არის, რომ ამდენი ხანი ასე გვეგონა. ან როგორ შეიძლება ეს გრეგორი იყოს? გრეგორი დიდი ხნის წინ მიხვდებოდა, რომ ადამიანები ასეთ ცხოველთან ერთად ვერ იცხოვრებენ, და თავისი ნებით წავიდოდა აქედან. ამ შემთხვევაში ჩვენ აღარ გვეყოლებოდა ძმა, მაგრამ ცხოვრებას გავაგრძელებდით და მის ხსოვნას შემოვინახავდით. ეს ცხოველი კი არ გვასვენებს, მდგმურებს აფრთხობს, ცდილობს, მთელ ბინას დაეპატრონოს და ჩვენ ქუჩაში დაგვტოვოს." და მან უცებ დაიყვირა: „შეხედე, მამა! არ იშლის თავისას!"

და გრეგორისთვის ყოვლად გაუგებარ ისტერიკაში ჩავარდნილმა გრეტამ უცებ დედა მიატოვა, სკამიდან წამოხტა (თითქოს უმალ დედას გაწირავდა, ვიდრე გრეგორის სიახლოვეს დარჩებოდა) და მამას ამოუდგა უკან. მამა, დის საქციელით აღელვებული, სკამიდან წამოდგა და თითქოს მის დაცვას ლამობსო, ხელები გრეტასკენ გაიშვირა.

მაგრამ გრეგორს აზრადაც არ მოსვლია ვინმეს და, მით უმეტეს, თავისი დის შეშინება. მან მხოლოდ უკან მიბრუნება დაიწყო, რათა თავის ოთახში გაცოცებულიყო. ეს კი მეტად თვალშისაცემი აღმოჩნდა, რადგან თავისი სავალალო მდგომარეობის გამო, გადასაადგილებლად თავის მოშველიება მოუწია, რომელიც, მაღლა აწევის ნაცვლად, იატაკზე უვარდებოდა. გრეგორი შედგა და მიმოიხედა. მისი კეთილი განზრახვა, როგორც

ჩანს, თანდათან აშკარა ხდებოდა სხვებისთვის. წამიერი შიში გაქრა. ახლა ისინი მას ჩუმად და სევდიანად უმზერდნენ. დედას ფეხები წინ გაეშალა და სკამზე გაწოლილიყო. დაღლილობისგან თვალები ეხუჭებოდა. და და მამა გვერდიგვერდ ისხდნენ. დას ხელი ყელზე შემოეხვია მამისთვის.

„ალბათ უკვე შემიძლია მივბრუნდე," - გაიფიქრა გრეგორმა და საქმეს შეუდგა. დაძაბულობისგან ხვნეშას ვერ იკავებდა და შიგადაშიგ დასვენება სჭირდებოდა. მის დაჩქარებას არც არავინ ცდილობდა. საკუთარი თავის ანაბარა დაეტოვებინათ. საბოლოოდ მიტრიალდა და მაშინვე წინ დაიწყო სვლა. თავისი ოთახის სიშორით გაკვირვებული ვერ ხვდებოდა, როგორ გამოიარა ცოტა ხნის წინ ეს მანძილი ისე, რომ სისუსტე არც უგრძვნია. მხოლოდ იმაზეღა ზრუნავდა, რაც შეიძლება მალე მიეღწია ოთახამდე. ამასობაში კი ვეღარ ამჩნევდა, რომ ოჯახის წევრების არც ერთი სიტყვა, მათი არც ერთი შეძახილი აღარ ანაღვლებდა. მხოლოდ კარში შესვლის შემდეგ მოაბრუნა თავი, ისიც სანახევროდ (რადგან კისერი გაშეშებოდა), ყოველ შემთხვევაში იმდენად, რომ დაენახა - ოთახში არაფერი შეცვლილიყო იმის გარდა, რომ და ფეხზე იდგა. უკანასკნელი მზერა დედას მოავლო. მას უკვე ღრმად ჩასძინებოდა.

როგორც კი გრეგორი ოთახში შევიდა, ოთახის კარი საგულდაგულოდ მიხურეს, ურდულით ჩარაზეს და გასაღებითაც გადაკეტეს. ამით გამოწვეულმა უეცარმა ხმაურმა გრეგორი ისე შეაშინა, რომ ფეხები აუცახცახდა. ეს დამ იჩქარა ასე - მთელი ეს დრო ხომ ფეხზე იდგა და უცდიდა, შემდეგ კი საჩქაროდ ისკუპა (ისე, რომ გრეგორს მისი ნაბიჯების ხმაც არ გაუგია), მშობლებს შესძახა - „როგორც იქნა!" - და გასაღები კარში გადაატრიალა.

„ახლა რაღა ვქნა?"- ჰკითხა თავს გრეგორმა და სიბნელეში მიმოიხედა. მალევე აღმოაჩინა, რომ განძრევა საერთოდ აღარ შეეძლო. ეს გასაკვირი არც იყო. ის უფრო არაბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ ამ პაწაწინა ფეხებით აქამდე ამდენი სიარული მოახერხა. სხვა მხრივ თავს კარგად გრძნობდა. მართალია მთელი სხეული სტკიოდა, მაგარმ ამავე დროს ეჩვენებოდა, რომ ეს ტკივილი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და მალე საბოლოოდ უნდა გამქრალიყო. ზურგში ჩამპალი ვაშლი და მის გამო შეშუპებული ადგილები, რომლებიც ფაფუკ მტვერს დაეფარა, თითქმის აღარ აწუხებდა. ოჯახზე ახლა ნაზად და სიყვარულით ეფიქრებოდა. უკვე დაზე მტკიცედაც ფიქრობდა, რომ უნდა მოშორებოდა აქაურობას. ამ მშვიდ და მშრალ ფიქრებში იყო ჩაძირული, როდესაც კოშკზე საათმა დილის სამს ჩამოჰკრა. როცა გარეთ ინათა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემდეგ თავი უნებურად ჩამოუვარდა და ნესტოებიდან უკანასკნელი სუსტი სუნთქვა ამოუვიდა.

დილით მოსამსახურე მოვიდა. მრავალჯერ გაფრთხილების მიუხედავად, დილაუთენია არ ეხმაურა, მან ჩვეული ფორიაქითა და სიჩქარით ააბრახუნა სახლის ყველა კარი. მშვიდი ძილი უკვე შეუძლებელი იყო. როცა ჩვეულებისამებრ, გრეგორის ოთახშიც შეიხედა, იქ უჩვეულო ვერაფერი შენიშნა. მისი აზრით, გრეგორი განგებ იწვა ასე გაუნძრევლად და თავს დაჩაგრულივით იკატუნებდა. კარგად იცოდა, როგორი ჭკვიანიც იყო. რადგან ხელში შემთხვევით გრძელი ცოცხი ეჭირა, გადაწყვიტა, მისთვის ამ ცოცხით კარიდან მოეღუტუნებინა. არც ამას მოჰყვა მოსალოდნელი რეაქცია. ამიტომ ცოცხი გაბრაზებით გაჰკრა და ყურადღება მაშინღა დაძაბა, როცა გრეგორი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ადგილიდან გადასწია. როდესაც მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მოსამსახურემ თვალები დაჭყიტა, ერთი თავისთვის წაუსტვინა, ადგილზე დიდხანს არ დააყოვნა, საძინებლის კარი გამოგლიჯა და ბნელ ოთახში შეჰყვირა: „ნახეთ, ჩაძაღლდა! იქ წევს, საბოლოოდ ჩაძაღლებული!“

მოსამსახურის მოულოდნელი შეჭრისგან შეშინებული ცოლ-ქმარი ზამზა ჯერ საქორწინო სარეცელზე წამოჯდა სულის მოსათქმელად, მოგვიანებით კი მის ნათქვამსაც მიხვდა. შემდეგ ბატონი და ქალბატონი ზამზა, ცალ-ცალკე წამოხტნენ თავ-თავიანთი საწოლებიდან. ბატონმა ზამზამ მხრებზე საბანი მოიგდო, ქალბატონი ზამზა კი ღამის პერანგის ამარა გავიდა ოთახიდან. ასე შევიდნენ ისინი გრეგორთან. ამასობაში სასტუმრო ოთახის კარიც გაიღო, სადაც მდგმურების გადმოსვლის შემდეგ გრეტას ეძინა. ის ჩაცმული იყო, თითქოს არც უძინიაო, რასაც მისი უფერული სახეც მოწმობდა. „მკვდარია?“ - ჰკითხა ქალბატონმა ზამზამ მოსამსახურეს, თუმცა თვითონაც კარგად შეეძლო ამის შემოწმება. ყველაფერი შეუმოწმებლადაც ნათელი იყო. „სწორედაც,“ - თქვა მოსამსახურემ და ნათქვამის დასადასტურებლად გრეგორის ცხედარი ცოცხით კიდევ ერთხელ გადასწია ადგილიდან. ქალბატონმა ზამზამ ხელი ისე გაიშვირა, თითქოს ცოცხის შეჩერება უნდაო, თუმცა ასე არ მოქცეულა. „ესე იგი, ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ,“ - თქვა ბატონმა ზამზამ და პირჯვარი გადაისახა. ქალებმაც იგივე გააკეთეს. გრეტამ, რომელიც გვამს თვალს არ აშორებდა, თქვა: „ნახეთ, რა გამხდარი იყო. ბოლო დროს თითქმის აღარაფერს ჭამდა. ყველა საჭმელი ხელუხლებელი გამომქონდა ოთახიდან.“ გრეგორის სხეული მართლაც ზედმეტად გამხმარი და გაბრტყელებული იყო. ახლა, როცა ის ფეხებზე აღარ იდგა, ეს უფრო აშკარად ჩანდა. თვალშისაცემი სხვა აღარაფერი იყო.

„გრეტა, ცოტა ხნით ჩვენთან შემოდი,“ თქვა ქალბატონმა ზამზამ სევდიანი ღიმილით და გრეტაც, ისე რომ გვამს თვალი ძლივს მოსწყვიტა, გაჰყვა მას. მოსამსახურემ კარი დაკეტა და ფანჯრები ფართოდ გააღო. დილა მხოლოდ იწყებოდა, მაგრამ საგრძნობლად თბილოდა. უკვე მარტის ბოლო იდგა.

სამი მდგმური თავიანთი ოთახიდან გამოვიდა. გაკვირვებულმა იმით, რომ საუზმე მზად არ იყო (მდგმურების არსებობა აღარავის ახსოვდა), შუათანა მდგმურმა მოსამსახურეს დაბღვერილმა ჰკითხა: „სად არის საუზმე?“ მოსამსახურემ პირზე თითი აიფარა და მათ თავით ანიშნა გრეგორის ოთახში შესულიყვნენ. მდგმურები განათებულ ოთახში შევიდნენ და გრეგორის ცხედრის ირგვლივ განლაგდნენ.

ამ დროს საძინებლის კარი გაიღო და იქ ლივრეაში გამოწყობილი ბატონი ზამზა გამოჩნდა. მას აქეთ-იქიდან ხელკავით მოჰყვებოდნენ ცოლი და ქალიშვილი. ყველას ნამტირალევი სახე ჰქონდა. გრეტა დროდადრო სახით მამას მკლავზე ეკვროდა. „ახლავე დატოვეთ ჩემი სახლი!“ - თქვა ბატონმა ზამზამ და ხელი კარისკენ გაიშვირა. ისე, რომ ქალები გვერდიდან არ მოუშორებია. „რას გულისხმობთ?“ - იკითხა შეცბუნებულმა შუათანა მდგმურმა და მლიქვნელურად გაიღიმა. დანარჩენ ორს მოსალოდნელი ჩხუბის მოლოდინში (რომელსაც, მათი აზრით, მათთვის სარგებელი უნდა მოეტანა) ხელები ზურგსუკან შემოეწყოთ და სიამოვნებისგან თითებს იფშვნეტდნენ. „ვგულისხმობ ზუსტად იმას, რაც ვთქვი,“ - თქვა ბატონმა ზამზამ და თავის მხლებლებთან შეწყობილი ნაბიჯებით მდგმურს მიუახლოვდა. ეს უკანასკნელი ერთხანს დუმილით ჩასჩერებოდა იატაკს, თითქოს თავში აზრებს ახლებურად ალაგებსო. „კარგი, ჩვენ წავალთ,“ - თქვა შემდეგ ბედს შერიგებული ადამიანის ტონით და თანხმობის მოლოდინში ისევ ბატონ ზამზას გახედა, რომელმაც რამდენჯერმე მოკლედ დაუკრა თავი. ამის შემდეგ შუათანა მდგმური ფართო ნაბიჯით გაემართა წინა ოთახისკენ. დანარჩენი ორი, ამასობაში თითების ფშვნეტა რომ შეეწყვიტა, თვალყურს ადევნებდა ამ საუბარს. იმის შიშით, ბატონმა ზამზამ არ დაგვასწროს, ოთახში ჩვენზე ადრე არ შევიდეს და მეთაურს არ მოგვწყვიტოსო, ისინი ლამის ხტუნვა-ხტუნვით გაჰყვნენ შუათანა მდგმურს წინა ოთახისკენ. იქ მათ საკიდიდან ქუდები აიღეს, თავიანთი ხელჯოხები მოიმარჯვეს, თავი უხმოდ დაუკრეს და ბინიდან გავიდნენ. ბატონი ზამზა ქალებთან ერთად, როგორც ჩანს, სრულიად უსაფუძვლო ეჭვით, მდგმურებს სადარბაზო ბაქნამდე გაჰყვა. ისინი მოაჯირზე დაყრდნობილები უმზერდნენ მდგმურებს, რომლებიც მართალია აუჩქარებლად, მაგრამ მაინც შეუსვენებლივ ჩადიოდნენ კიბეზე, სართულების მოსახვევებში ქრებოდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩნდებოდნენ. რაც უფრო ღრმად ჩადიოდნენ კიბეზე, მით უფრო მეტად კარგავდა ზამზების ოჯახი მათდამი ინტერესს. და როდესაც კიბეზე თავზე კალათშემოდგმული, წელში ამაყად გამართული ხორცის დამტარებელი გამოჩნდა და მდგმურებს გვერდი აუარა, გულდამშვიდებული ზამზები მოაჯირს მოსწყდნენ და სახლში შებრუნდნენ.

მათ გადაწყვიტეს, დღევანდელი დღე დასვენებისა და სეირნობისთვის დაეთმოთ. შრომისგან ცოტა ხნით მოწყვეტა არა მხოლოდ დაიმსახურეს, მათთვის ეს აუცილებელიც კი

იყო. ამიტომ სამივე მათგანი მაგიდასთან დაჯდა და განმარტებითი ბარათის წერას შეუდგა. ბატონი ზამზა - თავისი დირექციის, ქალბატონი ზამზა - შემკვეთის, გრეტა კი თავისი შეფის სახელზე. ამ დროს ოთახში მოსამსახურე შემოვიდა იმის საუწყებლად, რომ საქმე მოემთავრებინა და წასასვლელად ემზადებოდა. ზამზებმა მას მხოლოდ თავი დაუქნიეს, ისე რომ საწერს არ მომწყდარან, მაგრამ რადგან მოახლე ამას არ დასჯერდა და ადგილიდან არ დაიძრა, სამივემ უკმაყოფილოდ ამოხედა. „გნებავთ რამე?“ - იკითხა ბატონმა ზამზამ. მოახლე ისევ კარში იდგა და იღიმებოდა, თითქოს ოჯახისთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი სასიხარულო ამბავი ჰქონდა საუწყებელი, რომლის თქმასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებდა, თუ ამის შესახებ საგულდაგულოდ გამოჰკითხავდნენ. მის ქუდში გაჩრილი ფარშავანგის ბუმბული, რომელიც ბატონ ზამზას ყოველთვის აღიზიანებდა, აქეთ-იქით ფრიალებდა. „რა გნებავთ, ბოლო-ბოლო?“ - იკითხა ქალბატონმა ზამზამ, ვის მიმართაც მოახლეს შედარებით მეტი რიდი ჰქონდა. „დიახ,“ - უპასუხა მან და კეთილშობილური ღიმილისგან საუბრის გაგრძელება გაუჭირდა - „ესე იგი, ოთახიდან მის მოშორებაზე შეგიძლიათ არ ინერვიულოთ. ყველაფერი მოვაგვარე.“ ქალბატონი ზამზა და გრეტა ისევ თავიანთი წერილებისკენ დაიხარნენ, თითქოს წერის გაგრძელებას აპირებენო. ბატონმა ზამზამ, რომელიც მიხვდა, მოსამსახურე ყველაფრის დაწვრილებით აღწერას აპირებსო, ის მაშინვე ხელის მოძრაობით მოიშორა თავიდან. მოსამსახურეს, რადგან ლაპარაკი აუკრძალეს, გაახსენდა, რომ ეჩქარებოდა და ნაწყენი ხმით გამოაცხადა: „მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“ შემდეგ სწრაფად და უხეშად გატრიალდა და კარის ჯახუნით დატოვა ბინა.

„საღამოსვე დაითხოვეთ,“ - თქვა ბატონმა ზამზამ, თუმცა ცოლისგან და ქალიშვილისგან პასუხი ვერ მიიღო, რადგან მოახლემ ისევ დაარღვია ნანატრი სიმშვიდე. ისინი წამოდგნენ, ფანჯარასთან მივიდნენ და ერთმანეთს გადახვეულები, ერთხანს ასე იდგნენ. ბატონმა ზამზამ სავარძელი მათკენ მიაბრუნა და დუმილით მიაჩერდა. შემდეგ კი ამოთქვა:

„მოხვალთ თუ არა ბოლო-ბოლო ჩემთან? დაივიწყეთ ძველი ამბები. ჩემზეც ხომ უნდა იფიქროს ვინმემ.“ ქალებმა მაშინვე შეასრულეს მისი თხოვნა, მივიდნენ, მიუალერსეს და წერილებიც სასწრაფოდ დაასრულეს.

ამის შემდეგ სამივე ერთად გავიდა სახლიდან (რაც უკვე თვეების განმავლობაში აღარ გაეკეთებინათ) და ტრამვაის ქალაქგარეთ გაჰყვა. ვაგონს, რომელშიც ისინი სრულიად მარტო ისხდნენ, მზის სხივები ანათებდა. სავარძლებში კომფორტულად მოკალათებულები, მომავალ პერსპექტივებზე მსჯელობდნენ. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ საქმე ცუდად სულაც არ იყო - სამივე მათგანის სამსახური, რაზე საუბარსაც ადრე ერიდებოდნენ, საკმაოდ

მომგებიანი და სამომავლოდაც საიმედო გახლდათ. ბინის შეცვლა მდგომარეობას კიდევ უფრო გააუმჯობესებდა. არც ეს იყო ძნელი. ბინას ახლა უკვეთეს ადგილას დაიქირავებდნენ. ის უფრო პრაქტიკული, შედარებით პატარა და ძველ, გრეგორის მიერ შერჩეულ ბინაზე იაფი იქნებოდა. ამ თემებზე საუბრისას, უცებ ბატონმა და ქალბატონმა ზამზებმა თითქმის ერთდროულად შენიშნეს, რომ მათი ქალიშვილი, მიუხედავად ბოლო დროს გამოვლილი ტანჯვისა, რომელსაც მისთვის ლოყები გაეფერმკრთალებინა, საგრძნობლად დაქალებული და დამშვენებული იყო. დადუმებულნი, ახლა მზერით ანიშნებდნენ ერთმანეთს, რომ სულ ახლოს იყო ის დრო, როცა თავიანთი ქალიშვილისთვის შესაფერისი საქმრო უნდა მოეძებნათ. ამ დროისათვის მათი მგზავრობაც დასასრულს მიუახლოვდა. და თითქოს მშობლების ახალ იმედებსა და კეთილ განზრახვებს ეთანხმებაო, ქალიშვილი პირველი წამოდგა სავარძლიდან და სხეული ნორჩად მოიღერა.

გერმანულიდან თარგმნა მაია ლიპარტელიანმა

სარჩევი

1. 1
2. 14
3. 28